

ԱՐԵՎՈՅԻ
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ




ԱՐԵՎՈՅԻ 1902


ულრნალ „ჯეჯილისა“

83

I	აღდგომა ლექსი—შეფილისა.	3
II	ქვევრი იგავი—ა. მიწანაშეილისა.	5
III	მოთამაშე მაიმუნი მოთხრობა—თ. რაზიკაშეილისა.	6
IV	ხოხები და კაპები იგავი—ა. მიწანაშეილისა.	16
V	მიწის მუშა და მისი შეილები ფრანგული იგავი—ელდისა	18
VI	ლომი ლუნკევიჩისა, თარგმანი—გ. ფრონისპირელისა.	19
VII	ცელქი შალვა ლექსი დ. თომაშეილისა—	26
VIII	მცლიას თავ-გადასაყალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ა. ნათებისა	28
IX	ჭიაკოკონობა ლამეს, მოთხრობა—ე. განაშეილისა.	38
X	ლელი ჯენ, მოთხრობა, დასასრული—ე. წერეთლისა	48
XI	ქართველთა მეფე გლექსის ქახში სტუმრათ—ისტორიული ამბავი—იაკობ გოგებაშეილისა.	51
XII	კალელონიში ნადირობა (ოციდიუსიდან)—ა. უუმისთა გედისა.	63
XIII	საშინელი სასჯელი მოლაპატისა, ისტორიული ამბავი იაკობ გოგებაშეილისა.	69
XIV	წერილმანი: საჩუქრის მისალები კოთხვა, გამოცანები, აკროსტიჩი, ანდაზა, ციფრების ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, რებუსი, ახსნა და განცხადება.	72



ეროვნული
მუზეუმი



საზოგადოებრივი ნახატები ანთონი

კურნალი

იზარდე, მწვანე ჯეკილო,
დაშურდე, გახდი ყანარ!..

ი. ღ.

№ IV

საზოგადო მეცნეობა



ტფილი

სტამბა ტ. გ. ათენისანცის, № 41 | თიპ. თ. მ. რომანია, წლ. 1902



Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Марта 1902 г.

კლდგოგა.



გ არიერბედა, ეკლესიის
სამრეპლოზედ იტრის ზარი,
ცა სამხედრო იწმინდება
მოკაშკაშე მოცინარი.

სამეჯლისოთ მოკაშმულა
ტე, მინდორი, მთა და ბარი;
ბოროტების დასათოგუნათ
მედორეთით ღება მაცხოვარი.
„ალდეომაა. ემაწვილებო,
წამოდექით ქმარა მილი,
მივეტებოთ სისარულით
მას ვინც სძლია თვით სიკვდილი.
შევედრეთ თქვენც გადმოგცეს
ერთი სული, ერთი გული,
ჩაგინერგოთ სისარტაჲ
და სიმართლის სიუგარული“.




ଏ ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ
ଅନ୍ତର୍ଭାବରେ,
ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ
ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ.

ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ
ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ
ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ
ନିର୍ମିଷେଥିଲ ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀରେ.

«କୋଣିବେ ଏହିକିମ୍ବାଦ!» ଇମାନିବା —
ମାଧ୍ୟମିକ ନିର୍ମିଷେ ମନ୍ଦିର ଭାବରୁ;
ଶୂଳଚକ୍ରରେ ପାତ୍ର-ମୁଖବନ୍ଧରେ
ଦୟା ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀ ଜୀବିତରେ.

ଶୂଳରେ ମୁଣ୍ଡଗ୍ରହିଣୀ,



ქ ვ ე რ ი ს .

0 8 0 3 0 .



ქვერი ჩოლა: «რა უბედური ვარ, ერთი წამი გოსკენება არა მაქვს, სულ ღვინითა ვარ სავსე; ნეტავი ფსკერი (ძირი) გამაგდებინა, სხვა არა მინდა-რა, იქნება მაშინ მაინც გავნთავისუფლდეთ».

ქვერს თხოვნა აუსრულდა: ფსკერი გაფარდა, გვერდიც თან გაჭერა. რა ნახა პატრონმა, ღვინისთვის აღარ გამოდგება, აიღო და ახლა სამუდამოთ ნავჭით აავსო.

ალ. მირიანაშვილი.



მოთამაშე მაიმუნი.



ითამაშე, ითამაშე, ჩემო გი-
ულსანუმ! კარგათ ასიამოვ-
ნე ჩვენი მუშტარი!

— იხტუნე, გიულ, ჩა-
ბუნე, გიულ, უფრო ბევრ
ფულს მოგცემენ!

«გიულსანუმიც» სტო-
და, უვლადა, ბუქნავდა, ტრია-
ლებდა სვითქმი გაცურებუ-
ლი; სან ჩაქუდებოდა და
გამინ თავის ჭუქრიან კაბის

ბოლოს ფეხს ადგამდა და ზედა ჯდებოდა.

ეს კაბის ბოლო ალის-ჩითისა იუო, ავლაბარში, ან
შეითან ბაზარში შეკერილი. თავის დღეში არ გარეცხილი-
კო, რის გამოც ბრტყელი ფოთლები და უვაილები ძლიე-
რა ეტეობოდა.

გიულსანუმს (ასე ემახდენ მოთამაშე მაიმუნს) ულზე
რკინის წვრილი და გრძელი ჯაჭვი ჰქონდა მობმული და

ერთ ახალგვაზდა თათრის ბიჭის ქუჩირა სელში. ეს ბიჭიც მაიმუნთან ერთათ, რაც ბალი და ღონე ჰქონდა, წრეს უვ-ლიდა და თან ჯაჭვიან სელს იქნევდა, რომ მაიმუნს თამა-შობა არ შეიწყვიტა. ჯაჭვი ხან ასწევდა მაღლა გრულსა-ნუქს და ხან მიწაზე ახეთქებდა. რა მეტი ღონე ჰქონდა, იმასაც უნდა ეხტუნა.

— ავრე, გრულ, ავრე! აი უოჩალ! აი უოჩალ! ამხე-ვებდა მოთამაშე ბიჭი. მეორე ბიჭი-კი ჭუჭუიან დაირის მალ-ჟე აბრახუნებდა და რაღაც ბაზრულ სათამაშო ხმას დაჭმდე-როდა. საკვირველათ აუოლებდენ ფეხს მაიმუნი და ჭასანა უურბანას დაირის ხმას. როცა ისა ჩქარობდა, ესენიც გარ-ბოდენ და ხტოდენ; როცა დაირა ჩუმდებოდა და ნელ-ნე-ლა ჩქარობდა, ისინიც დაღალულებივით მიცოცავდენ; მი-წაზე სხდებოდენ და მჯდომარე ბაუაურათ ოთხზე სტუნავ-დენ, ხან წელში გამართულები წრეში უვლიდენ, ხელებ-გაძლილები და ხან უირამალა გადადიოდენ.

— ავრე, გრულ, კიდევ გრულ! ხომ არ დაიღალე, გრულ! ეძახის მოდაირე უურბანა მაიმუნს.—ჯერ კიდევ, კი-დევ! ხომ ხედავ ჯერ ისევ ფულს აგროვებენ.

— კიდევ ცოტა, გრულ კიდევ. კეთილი მუშტარია, შა-ქარს გაჭმევენ.

— აჭამეთ, კეთილო მუშტარებო, გრულს შაქარი, უვ-რო კანგათ გასიამოვნებსთ—აჭამეთ! ამბობს უურბანა და თან თავის მოდუნებულ დაირის უბრახუნებს, თითქო დაირის



ბრძლი უოფილიერს ესეთი სიცხე და ამათი სოფლაზ კარი-
კარს ხეტიალი.

— აჩუქეთ, კეთილდო ხალხნო, გიულხანუშს ფულები,
ხომ სედავთ, კაბა ძველი აცვია, თვითონაც დაიღალა, აჩუ-
ქეთ დვთის გულისათვის! უკირცს ჭახანა.

ხალხი მალიბნ ბევრი მოვიდა. რაც სოფელში წვრილ-
ჯებობა იუო, სულ აქ მოგროვილიუვენ და ერთმანეთს აღარ
აცლიდენ, უკელას უნდოდა წინ გადასულიერ და ახლოდან
ჩაენახა ეს კაბიანი მოთამაშე მაიმუნი. ზოგი ბალდი დაი-
რის ხმაზე თვითონაც ხტოდა და ბუქნავდა, მაიმუნს აჯავ-
რებდა. დედაკაცებიც ბლომათ იუვენ: ზოგი ცომიანი სე-
ლით გამოსცეულიუო, ზოგს სარეცხისთვის გაენებებინა თა-
ვი და ჩამოგლეჯილ-ჩამოცლეთილი სეირს უცქეროდა. ზოგს
სახქაროთ აუქნებინა აკვნიდან ქორფა ბაკში და სეირის
საურებლათ გამოჭრილიუო. რომლებიც უფრო დარბაის-
ლობაზე სდებდენ თავს, ისინი უფრო ცოტა მოქორებით
იდგენ.

— ქა, აბა რა ნამუსია, რომ პირში უვარდებით მაგ
ხალხსა. აქედან-კი ვეღარ დაინახავთ! ცოტა უგან დადექით,
ჩვენც დავინახოთ რამე. იმახდა ერთი.

— ქა! ადამიანს არა ჰეგავს! სულ თორტელ აშნაურის
არა ჰეგავს! იმახდა მეორე. და დაიფიცავდა კიდეც, რომ ის
აშნაური ცოტა მხდალია და ჩოხაც აცვია, თორემ პირ-
წავარდნილი ის აოისო.

— აბა, მაიმუნო, ერთი უზუნდარი ითამაშე, კოდინება, ქალაქელი ხარ. ეუბნებოდა მესამე.

— იდ, ჩაქრი შენცა და შენი კაბაცა! შენმა მზემ მმკენერი რამა ხარ მაგ კაბაში! ამბობდა ერთი ბალდიანი ჩამოსეულ-ჩამოვხრეწილი დედაკცი, რომელსაც თვითონაც, ვითომ-და კაბაზე, ათასი კონკი ეკერა და თან ქაქოლას აურიდა საცოდავ მაიმუნს.

— რა გეთამაშება, მე საცოდავო, წადი შენ სახლში, შენმა მზემ ქვეყანა არ გააკვირვო შენი ნიკოლებით!

* *

მხარეზე ჩარკ აკიდებული თათრის ბიჭი ჭავანა მიუძღვდა წინ მაიმუნს და თან სოფელში მოგროვილ შავ ფულებს ითვლიდა ჯიბეში. უურბანაც უკან ჩანჩალით მის-დევდა.

— ღმერთმა ააშენოს ქვეყანა, არა უჭირს-რა დღევან-დელ ნამოვარს, არა ჭავან? გვეუთვა დღესა და ხვალ ეგ გროშები, სხვაც რომ ვეღარა ვიშოვოთ-რა. გიულხანუმ-საც ვაწამოთ რამე, თორებ შეიძლება ადვილათ გამოგვეცა-ლოს სელიდან. რა შეუძლიან, მოელი დღე ხვითქი გადას-დის სტუნგაში და ტრიალში, მერე ამ ჰაპანაზება სიცხეში. თუ რამე აუტედ მაგას, მაშინ მე და შენ ან ისევ დუქჩებ-ში უნდა ვეთრიოთ მშერ მწულვალნი, ან სანაგვეებზე ჯღა-



ნები და ჩვრები გაგროვოთ. აქ სუფთა ჰაერი მაინც არის, სოფელია, უცხო სალხია, არავინ გვიცნობს, რომ კიდეც ვითხოვოთ ხოლმე სან-და-სან, არა უმავს-რა, «ჩვენ გრულ-სანუმს აჩუქრეთ-თქო». ბევრია სოფლათ კეთილი გულისა, თეთრ ფულსაც ბევრი გაიმეტებს.

— თორემ განა-კი მალიან მესალისება კარის-კარ თორევა და მუდამ ტანტალი, ან დაირის ბრახაბრუხი და ჩვენი უგა-მური სიძლეერა?! რა გვაქვს სათამაშო ჩვენ ოხრებს, გვისა-რიან რამე?

ვული, ვული, ეგ ოსერი! გრულხანუმსაც იმიტომ ვტანჯავთ და ჩვენც ბომებივით იმიტომ დაუეთრევით ასე, რომ ცოტა რამე მოვაგროვოთ. მერე წვრილმანი ვიუდოთ და ფული მოვიგოთ. ბოლოს იქნება ალლახმა მოგვხედოს და ერთი საწვრილმანის ღუქანი ჩვენც გავაღოთ. ჩვენც ახალი ტანისამოსი ჩავიცვათ, ჩექმა-კალოში, სუფთათ გა-მოვიდეთ ქუჩაში, ხალხში გავერიოთ. მერე ვერცხლის ქამ-რება... ვის-და ეხსომება, თუ ჩვენ მაიმუნს ვათამაშებდით! ოჟ, ალლახ! მოგვხედე და გაგვიგონე შენს მადლსა!

ჭასანა და უკრძანა რაც მალი და ღონე ჸქონდათ მი-ხანხალებდენ და თან გრულხანუმს მიათრევდენ.

შეა ღლე გადასული იუო. მეათათვეში შეადგის უკან უკრო ცხელა ხოლმე. მზე ულმობელათ აჭერდათ დადა-ლულ-დაქანცულებს კისრებში. ოყლი წურწურით ჩამოსდი-



ოდათ. გიულხანუმს ენა გამოეგდო მაღლივით და ქუჩნებდა. შეორე სოფლამდე კიდევ შორი იყო.

— ვიაროთ, უურბან, ვიაროთ, ავუჩხაროთ ფეხი, ეუბნება ჸასანა. ეგები ცოტა მაინც ვიძოვოთ რამე იმ სოფლში, ვახშმისა და საწოლის ფასს ხომ ავიღებთ.

— რა ვქნა, ჸასან, მე-კი მოგვები, მაგრამ ეს მაიმუნი მაბრუოლებს, აღარ მოდის, არ ვიცი, დაიღალა, თუ აღარა სწადიან, კისერზე მაინც შევისვათ.

— კისერზე-კი არა, ახლა ნეტა უბეშიაც არ ჩაისვა! დაჭვარ, მაგის ეშმაკობა აქამდე როგორ არ გაიგე, არ იცი, რა ციგანიც არის?!

— ცოტა ხანს კიდევ, გიულ, ეუბნება უურბანა, აი მივედით, აქაც ვითამაშოთ და შეორე დავისვენოთ, ამაღამ კარგი ვახშამი ვჭამოთ და დავიძინოთ არსეინათ.

რაი სოფლს დაუახლოვდენ, რიგ-რიგით გიულხანუმი კისერზე შეისვეს, შეისვენებსო, თქვეს და მერე უფრო შესძლებს თამაშობასარ. გიულხანუმმა უურბანას კისერზე ცოტა დაისვენა და შეღავათი მიეცა. გული გაუგრილდა და აღარა ქაქანებდა. მაღლების შიშით მოკრუნჩული იჯდა და იმათ დანახვას უურბანას ეკვროდა.

სოფლის ბალდები, თითქო მაღლებსა ლეში გაიგესო, იქიდანვე აედევნენ უკან და მთელი ხროვა შესდგა უსაქმური ხალხისა.

— მიირთვი, გიულ, მაქარი! ემახის კეთილი მუშტარი



გიულხანუმს და თან მოზრდილ შაქრის ნატეს ბრძებს.

— რასხნა გიულხანუმს წეურვილითა და სცესით უკლი ამოეწვა და ამოესრანწა, უნდა შაქრით ნირი გაისველოს და მადლობით უშეერს სელს შაქრისთვის.

— მოიცა, მოიცა, ჯერ შაქრის ჭამის დრო არ არის, უკირის ჭახანა. ეგ შაქარი აქ მომეც, შეგინახავ სადამოს-თვის. აბა დაუარე!

თან ჯაჭვს სწევს და მაიმუნს ძალის-ძალათ მიათრევს. დაქანცული გიულიც, თუმცა ფეხებს ძლივს-და მიათრევს, მაინც ტრიალებს თვაბრუ დასხმული.

საჩუქარი-კი მოდის და მოდის.

ზოგი ჩურს აწოდებს, ზოგი უველს, ზოგი შაქარის, ხილს. კაჯიგიანებს ქუდში ჩხაკა-ჩხუკი გაექვს.

— ჟქ, აბა რამდენი იმოვა გიულმა! იძახის უკიბანა.

— ეგრე, კეთილდო მუძტრებო, ეგრე!

მაგრამ გიულს ხომ ერთი ნატეს შაქარიც ეკოფოდა, რომ ნირი გაესველა. სული ესუფებოდა, ეკლი უქერდა რაღაც, ხრიტინებდა, თვალებში უბნელდებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. თვალები სისხლით ემსებოდა. ხალხი სულ ახლო და ახლო იწევდა და ჭარი უფრო და უფრო იხუთებოდა. ნიავი არსაღდან არ მოდიოდა. ცხელოდა! გიული კი თამაშობდა და თამაშობდა!

დაბინდდა. სალსი ნელ-ნელა დაიშალა. ჟასანა და უკონანა თავის მაიმუნით ერთ საბმელში დაბინავდენ და იქ დაუწეს დახლს თვლა.

— ღმერთმა ააშენოს ქვეყანა, თუ მუდამ დღე ასე ვიმოვეთ, ქალაქში სელ-ცარიელები არ დაგბრუნდებით, არა უკიბან?!

— დასაც ჸასან! დასაც! ცოტა გიულხანუმი დაგვედალა მალიან. ისეთია საწეალი, სულ კვნესის. ვგჭამოთ რამე, დაისვენოს სკალისთვის. ჩვენც ვწამოთ, დაკიძინოთ, სვალ ადრე უნდა ავდგეთ. ვახშამი გიულხანუმსაც უწილეს, მაგრამ იმან ზედაც არ დახედა საჭმელს, მხოლოთ წეალი-კი სარბათ სვა.

— მე ვახშამს აღარ შეგიცილებით! ამბობდენ გიულის აძლვორეული თვალები, თქვენ მიირთვით.

კინ! მოწუვეტილი გიული იმათ ფეხებთან ბზეზე მოკრუნხელი დაეგდო და მმიმე-მმიმეთ სუნთქვდა. სული ეხუთებოდა და გახურებული გული განხოთქას უპირებდა.

— ჭამე, რაღა, მე ოხერო, ნახე და! არ მოგშაკდა, მთელი დაც არაფერი გიწამია? უკირის ჸასანა.



გიულმა ვერ შესძლო იმოტოლა ჯაფა სიცხეში და ახლა ავათმეოი ბურანში იუთ და კვნესოდა. სულ გაოენება ელანდე-



ბოდა, თითქო დღე ბედნიერებას მოუტანდა რასმუს უფლესობა
და რბილი სულ ტკიოდა, გმინავდა და ბორგავდა...

აგერ უცხო სოფელში მივიდენ. სალის კალიასავით
ირევა. ერთი ქივილ-სივილი და სმაურობაა. ბალდები, ბებ-
რები ამათებნ გამორბიან. აგერ ჯაჭვით მიათრევს ჭახანა
გოულს, უნდა ათამაშოს.

— არ წამოვალ, არა, მოვკვდები, ამის მეტი აღარ შე-
მიძლიან! კვნესის გოული. მაგრამ გამგონი ვინ არის!

— მოდი რაღა, შე მუდრებო, თორებ აგიწვი ზურგი!

— უჟ! ოხ! კვნესის გოული.—ღმერთო, მომკალი, შე
დალოცვილო! აღარ მისდევს გოულანანუმი ჭახანას; გასაქ-
ცებეთ იწევს, უნდა გაოქცეს, წავიდეს იმ თავისუფლების
ქვეუანაში, საიდანაც ბოროტმა კაცებმა ის მოიტაცეს და ამ
ტანჯვა-წვალების (ქვეუანაში) შეარები მოიგვანეს. იწევს გი-
ული, ეწევა ჭახანაც, მაგრამ გოული მაინც იძრობს უელი-
დან ჯაჭვს და მირბის. მირბის, რა მირბის სულ მიფრი-
ნავს. აღარავერი სტკივა, მორჩა, დაღალულობაც დავიწე-
და, ყრთები შეესხა.

მიფრინავს გოული თავის სამშობლოსაკენ, როგორც
ყრინველი, მიქქრის, როგორც ქარი, მისცურავს, როგორც
ღრუბელი, სულ ცას გაეკრა, რომ ბოროტი ჭახანა ვეღარ
დაეწიოს.

მიფრინავს გოული თავის დედისკენ, თავის უტეს ტბებ-
ბისკენ, თავის ტოლ-ამხანაგებისკენ. თავზე გადუარა მწვანით

შემოსილ მინდვრებს და ველებს, თოვლ-უინულისაგან და უნდობილ მთის ქედებს, მშეოთვარე ზღვებს, თვალ-უწვდენელ სეებს და კლდეებს.

აგერ თავისი სამშობლო ქვეყანაც! თავისუფალია ახლა გიული, თავისუფალი! აგერ ნათესავები, მმები, დები, დედა!.. ჰვრის გიული დედას მუმუქებში, ჸოუნის დედას, ველარ გამამდარა იმისი აღერსით.

— დედავ, დედავ! შენს მუმუქებს გენაცვალე, რომ კიდევ გნახე, დედავ! ჩემთ მვირფასო დედავ! სიხარულით ტირის, ტირის გიული!

— გიულ, შეილო, შეილო, სად იქავ აქამდე, ვინ გამოგწერნა მაგრე და გამოგხრა, შეილო?! რადასა ჸგევხარ, შვილო, ეგ კისერი რადას გადუქლეტია შენთვის და დაუსისხლიანებია, შვილო? სად იქავ, შეილო, სად მემალებოდი?! წავიდეთ, შეილო, ჩეენ ტუები, წავიდეთ!

—
შეორე დღეს ბევრი აჯანჯლალეს ჸასანამ და უურბანამ გიულხანუმი, მაგრამ ვეღარ გამოაღვიძეს. მართლა დედას წაეკვანა...

თ. რაზიკაშვილი.



ხოზგეგი და პაპგეგი.

ი გ ა ვ ი

ერთ ჭალის პირში სოხბები და კაქბები ცხოვრობდენ. გარემო მინდვრებში მუდამ წელს დიდმალი სოდაბუნები იხვნებოდა. სოხბებსაც და კაქბებსაც, რასაც კირველია, საკმაო საკვებავი ჰქონდათ. ოთვა ჭამის დოო მოუვიდოდათ, ზღვასავით ძღველვარე ეანებში ერთათ გამოიშლებოდენ და მმურათ შექცეოდენ.

დიდხანს ცხოვრობდენ ასე ტყბილათ; მათ შორის უსიამოვნობა და განსეთქილება არავის გაეგონა.

ბოლოს, სოხბებმა ამაულა დაიწევეს: კეთილი ვანწეობილება მიატოვეს, ჭალა-მინდვრების მარტო დაჩემება და კაქბების იქიდან გამევება მოიწადინეს. იფიქრეს, იფიქრეს და ასეთი ღონე გამოძებნეს: მიუიდენ მელიასთან და თხოვეს: «თუ ჩვენ გვარს არ შექნები, სამუდამო ლუკმას გაგიჩენთო».

მელიას რა ეხარჯებოდა — თანხმობა გამოუკადა და მორჩილობა აღუთქა. სოხბებმა მელია მთელი ჭალი და-

ტარეს და სათითაოთ უჩვენეს კაქტების ბუდე — ბინადრობა.

მეღიაძე გამოისოგა ზარიალო კაქტები და მაღვე მათ
ბოლო მოუღო. მაგრამ, ვაი შენს მტერს! მეღიაძეს აღთქმა
გადავიწერა: კაქტები რომ გამოელია, ახლა სოსბებს მიჰეო
სელი და რა დღე დაადგენოდათ იმ უბედურებს, იმას ნუ-
ღარ მკითხავთ.

ალ. მირიანა შეილი.



ମହିଳିର ମୁଖ ଓ ମହିଳା ପଦିଲୋହି.

(ଉର୍ଦ୍ଧ୍ଵମୁଖ ରଗାଯି)



ରତି ମିଥିଲା ମୁଖ ରୂପ ଦୀବି ମେରିଦା-
ରି. ଏହା ଉତ୍ତରମନ୍ତ୍ର ଶିକ୍ଷାଦିଲୋହି ହେଲେ
ଦୀବିଦୁର୍ବଳ, ଶ୍ଵରିଲ୍ଲେଖି ଦୀବିକାରା ଓ ହା-
ତ୍ୟାରିଦରା: ଅରାମ୍ଭ ଓ ଅରାମ୍ଭ ହୃଦୟର ମାତା-
ମାତ୍ରିକିଲୋହି ଶିକ୍ଷାଦିଲୋହି ମିଥିଲା ଏହା ଗା-
ନ୍ଧୀଦରତ, ଗାନ୍ଧି ମେଘଲ୍ଲେଖି, ଏହା ଫିରି,
ଏହା ଅଧିକାରି, ମାତାମାତା ତୁ ପୁରୁଷଙ୍କ ପା-
ଇରଜୀବିତ ତକ୍ଷେଣକୁ ଦିନାବିତ. ମେଲାନ୍ତ
କେନିତ, ଦାର୍ଶନିକ, ଶ୍ଵରିଲ୍ଲେଖିଲୋହି ଅଧ-
ିକାରି ଏହା ଦୀବିଶ୍ରଦ୍ଧାରତ.

ମାତା ମୌଖିକ, ଶ୍ଵରିଲ୍ଲେଖି ଶିକ୍ଷାନ୍ତର ମାଦ୍ୟମ ଓ କୀର୍ତ୍ତି ପାଇବାର
ଶ୍ଵେତମୁଖୀଙ୍କୁ, ଏହାମ ଚିଲ୍ଲିଲୋହି ଦୀବିଲ୍ଲେଖି ମାତ୍ରାକାଳମା ତୁ ଏହା ଦିନରୀ,
ଏହା ଉପରି, ମାତାମାତା ଦୀବିକାରିକୁ ପୁରୁଷ-କୁ ପ୍ରାଣ ଦିନାବିତ. ଏହା
ପୁରୁଷ, ତୁ ମାତାମାତା ଓ ପାଇବାର ପୁରୁଷ ରୂପ?

କ୍ଲିପା.





ლ თ მ ი.

(ვ. ლუნკევიჩისა)

ომს ნადირთ მეფეს ეძახიან. ვინ
ამოირჩია ის მეფეთ? ვისწე მფლო-
ბელობს? — ან სად არის მისი
სამეფო?

ახოვანი, ლამაზი ტანი, მე-
დიდური მისერა-მოხვრა, კეთილ-

შობილური გონიერი თვალები, ლომს მშენიერ სანახავ
მსუბათ ჭიდის და ერთი შექედვითვე კაცი დარწმუნდება, რომ
ლომისათვის მეფის სახელი ტუუღათ არ დაურწმევიათ.
ის თავისი სამინელი ღონით, შეუპოვრობით და სიმარჯვით
თავ-ზარსა სცემს უველას. უოველი სულღმული მის წინ
შიძით კანკალებს და ამას თვით ლომიც კარგათ გრძნობს.

ლომი დიდი ცხოველი არ არის, მაგრამ მალიან მა-
გარი აგებულებისაა. ტანი შემოსილი აქვს მოკლე წითელ-
უკითელი ბალნით. ხეად ლომს თავსა და ბჟეზზე ფაფარი
სქლათ აურია, მე ლომს-კი ფაფარი არა აქვს და შეწყდუ-



ლობით ძლიერ წააგავს დიდ კატას. ამბობენ, როგორც უკავშიროს
უწინ ევროპაშიაც შეხვდებოდა კაცი, ახლა-კი მარტო აზია-
სა და აფრიკაში ხედვენ. აფრიკის ლომი უფრო დიდი ტა-
ნისაა და ფაფარიც სქელი აქვს, ვიდრე აზიის ცხელ ქვე-
ნებში მცხოვრებ ლომებს.



ლომი საცხოვრებლათ დაბურულ ტექს არ ეტანება,
ის ირჩევს ბარათ დიდ ბალახიან ან ბუჩქნარ ადგილებს.
და ხან-და-ხან მთიან და უდაბნო ადგილებშიც დაბინავდება
ხოლმე. ლომს ამხანაგებთან ცხოვრება არ უუვარს და თუ
შეხვდებით რამდენიმეს ერთათ, ისინი უმჯობელია სანადიროთ
იქნებიან გამზადებულები.

ლომი უოკელთვის დამე მიდის სანადიროთ. თუ ახ-
ლო-მასლო სადე შინაური საქონელი შეიგულა, ის ნელ-
ნელა ქურდულათ მიერარება ბაქს და როდესაც მოუახლოვ-
დება ერთ წამს შეჭრავს კამარას და კადასტება ლობებე.



რასაკეთი გელია ლომის დანახვაზე საქონელს ალიბერთი
შეუძლებათ და შეძით კანკალს დაიწუებენ; ლომი ამ დროს
სწრაფათ ეცემა ერთ-ერთ ცხოველს ამოიდებს ქვეშ, ჩაუკ-
რის თავის ბასრ ბრტყალებს და გავუდულ ხბოს ან მრო-
სას ბურთივით გადაისვრის მინდორზე; ერთ წამში გადმოს-
ტება თითონაც, დაავლებს პირს თავის მსხვერპლს და გა-
იტაცებს მიუვალ ადგილს, სადაც გულ-დამშვიდებით შეუდ-
გება ჭამას.

უფრო კარგი სანახავია, როდესაც ლომი გარეულ ცხო-
ველებზე ნადირობს. ხან-და-ხან დღისით, მაგრამ უფრო
სმირათ-კი საფამოთი, როდესაც დღებული ლამის მნათო-
ბი ჩაესვენება და ქვეუნიერებას ბნელი ფარდა ჩამოვარება,
ჟირაფი, ანტილოპი, გარეული კაძები და სხვა ბალახის
მოვნელი პირუტევნი მიეშურებიან წელის დასალევათ, ლო-
მი ფეხ-აკრეფით დაედევნება უქან და ირჩევს ერთ-ერთ მათ-
განს. ისინი ამას არა გრძნობენ და უშიშრათ განაგრძობენ
გზას, ლომსაც ეს უნდა, ისკუპებს და უცებ დაეცემა თავს
ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს; შემინებული პირუტევები
გაიფანტებიან, საბრალო მსხვერპლი-კი მოემწვდევა ლომის
ბრტყალებში, ფართხალებს, ცდილობს დაუსხლტეს ხელი-
დან, მაგრამ ამაოთ; ხან გრძლივი ბრძოლისაგან დონე მიხ-
დილი ეცემა ძირს და ლომის ფეხებ-ქვეშ ლევს სულს. ამ
დროს ლომს საშიშარი შეხედულობა აქვს: თვალებს აბრია-



ლებს, მრისხანეთ აქეთ-იქით იუურება და თან შეცვებული ნაძუღლო ცხოველს.

იმისთანა მმლავრ ცხოველებს, როგორც მარტო-რქა, სხილო, ბეგემოტი, გარეული ვირი და სხვა შეცება, ლომი არ შეების თუ შემძილმა მალიან არ შეაწეს, რადგანაც სშირათ მათთან ბრძოლა ძვირათ დაუკავება ხოლმე. ლომი უფრო გარეულ თხებზე და წვრილფეხა ცხოველებზე ნადირობს.

ლომს, როგა სანში შედის დონე აკლდება და უძლურდება, ამ დროს თხებსაც ერიდება საომრათ და კურდღლებზე, გარეულ ვირთაგვებზე ნადირობს. როდესაც პალუე დაბერდება მაშინ კალიებსაც სიამოვნებით მითოთმევს ხოლმე.

ლომი ადამიანს არ ერჩის, გზაზე რომ შეხვდეს თავაზიანათ გზას უქცევს, მავრამ თუ მონადირემ დასჭრა, ან გააბრასა მაშინ საზარლათ დაიღრიალებს, თვალები ცეცხლივით გაულენებს და ერთ წამზე მონადირეს თავს დაცემა, ბრჭეალებს უქერს და გლეჯას დაუწევს.

ამისთანა მოსისხლე, მმლავრი და მტარკალი შეცი, როგორც არის ლომი, ადამიანმა მაინც დაიმორჩილა. უქცევლია ვინმე თქვენგანს უნახავს სამსურამი, დიდ რეინის გალიებში დამწევდეული ლომი, ეს შეცთა მეუყ, რომელიც ადამიანს ისე დაუმორჩილებია, რომ პატარა ფრინველივით გალიაში ჰქავს გამომწევდეული.

— «ლომი, რომელიც არის მეუყ შეცებისა, მოგვი-

თხრობს յრთ մյշնցըրი—աճամիան յիշվա და შիნայր հուրցվագութ յմորհիլցեմ. առու წლու զանմէցլոბանի մյշնցըր լոռմու լայքե, და ույ մալլյ մյմիշիւն, հռմ დա ցմիլու մագլուզուտ սպան დամջազր, ლամ-լամօնիտ մոջուր და ჩյմ լոցինմու და մյլակյուցինդա, ხան თազզյնեաց օչյեր-ք. յրտել վյշնցըր մալուն დաշტյիւյ და մաս մյմջաց աճարացյեր մոշաբարացե».

մյ და სკագ լոռմու ծյնաց մոյզալ աճցուլս ոյզու-
ին, დღ ծալաեցին, ան չացյին, წյլու մտելունդատ, სა-
հաց մյ լոռմու დայրու եռլոմյ ხան յրտ, ხան առ და ხան
պիւ լայքե. մյ մյշամ լայքպըն տան დաեցյե, ხագ լո-
մու-կու սակմյւն շինդաց და մցրյին սպերյին. լայքպըն մլո-
յը წացանան յաტու յնությին; დյօնս յտամաշինան, დաեցրան,
պյլյունյեն და ხան յաტյիւնուտ յնացրան. պիւ տպե մյմջաց
լայքպըն დյօն մյմյս աճար ավագպըն და ամ დրուրան տիզյե
հարարա շեռցել պիւ նաջուրոბան. ხամ წლամդու պյլա დյ-
օնս ჰիցե, մյմջաց ხացյե ფայարու ամուսնու, ռոմյլուց
մյօնամ წյլութաց յեկյել დյօն. մյմզուր ան մյրզյ წյլու անյ-
իւնյեն დյօն-մաման տագ და պալց დարիւյիւն շեռցրյին պան.

մռմինայրյիւլու լոռմու շուշելոնմ սամոց-დա-ատ წլամ-
քյ, տագուշոյալու-կո յոյրու մյրի. աճամիանու ხյլու սմուրատ
յմոյլու լոռմու սուշուշելյ. սահաց լոռմյի շեռցրո-
նյեն ոյ დոջ սարալու ամլյաց միջուր սալու. წարմուրցու-
նյու տქզեն, այրույամ, յրտ խալայիս մանրամ, սամոցմ
լոռմմա մյեկամ տամեյ մյբու մոնայր սայոնյլու առու
წლու զանմէցլոնմի. ամու շյլուսատպու աճամիանու, մալո-



ଶୁଭେଶ୍ୱରାତ, ପ୍ରକଳ୍ପିତ କେରଳେ, ରାମ ଯେ ସାମିନ୍ଦ୍ରାଲୋ, ମୁଖିତାମୁଖ୍ୟମାତ୍ର
ଦେଲୋ ମେହୁରି ଅମ୍ବାର୍ଥ୍ୟାବୀରାତିଃ. କିନ୍ତୁ ଧରନିଧରା ଓ ତାମ୍ରିତ
ମିଦିଲେ ଲୋମହୀ କାନାଦିରାତ. ଶ୍ଵରା ବ୍ୟାକାତ-କୁ କାନ୍ଦର୍ଜୀବିଲେ ପ୍ରକୃ-



ତେବେ. ମନାଦିରାଗ୍ରେଷୀ ତ୍ୟାଗି ଏବଂ ମନଦ୍ୱାରାତ ଅମ୍ବାରାତିଃ ଫରମା
ରମଣେବି ଏବଂ ଶ୍ରୀରାତି ଶ୍ଵରା ତବ୍ରାତ ଯକ୍ଷିକୀୟ, ଶରୀର-ଶଲାକ ଏବଂ

სდებენ მისატუებელს და თთონ მახლობ ბუჩქებით გასა-
ღებიან. ლომი მიღის არხეინათ, გადივლის წედ და ვარ-
ღება ორმოში. ამ დროს საფრებიდან გამოცვივიან მონა-
დიორები და ცდილობენ ქვებით ან თოვებით მოჰქლან. ზოგ-
ჯერ მონადიორე თთონ იძალება ორმოში, იყარებს წევი-
დან ფოთლებს და უცდის ლომის მიახლოვებას, რომ ეს-
როლოს და ერთი ტევით გაგმიროს, ეს მლიერი მსეულა
შევმ.

კ. ფრონისპირელი.





ପ୍ରେସି ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ.

ଲୋକଶ୍ରୀର ଶାଲ୍ଯା, ଏଣ ବସେନ୍ଦ୍ରପାଳ
 ଜୀବନିର ପ୍ରକାଶକ୍ଷେ ଗାନ୍ଧାମିଖଦାରି,
 ଓ କୁରାତ ଏଣ ମିଳିବା
 ଏବଂ ଶ୍ରୀମଦନାନାତ ମତା ଏବଂ ବାରି.
 ଦାରୁପାଳ ପ୍ରେସି, ଗାନ୍ଧାଗଫଳ
 ଶାକିତକାଳୀ ମାନ ଅନ୍ତାନି,
 କେଣିମି ଶରୀରପାଠ ଆଣ୍ଟିତଳା
 ପରିମା-ମିଳାନାଗ୍ରହ ଚାନ୍ଦଗିର କାନି!..
 ମନାଦିନିର ଶ୍ରୀମଦ୍ଵୀପି,
 ଏବଂ ରାଜିନା, ଏବଂ ରାଜିନା,
 ମାସଚାନ୍ଦିନୀର ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ,—
 ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ!
 ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ,
 ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ!
 ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ,
 ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ,

სანამ ფრენათ ამ ხტონებაში
იმან ქვას არ წაჲყრა ფეხი
და მით ორათ არ შეექნა
ფეხის ცერი განაჩენი!
„გაი, დედავ, მიშველეთო!“
აბლრიალდა სიმწარისგან,
მაგრამ შველას, შემწეობას
არ ელოდა არვისგან,
რადგან თვის ტოლ-ამხანაგთან
იყო ის პირ-გამურული
და გასწვეიტა მან იმათთან
მთლათ კავშირი მეგობრული!
რაც რომ მისგან ხვდებოდა მათ,
მისმავ თავმა ის აწენია!..
რატომ, შალვავ, სხვისი ტკენა
შენ არაფრათ მიგაჩნია?!..

დ. თომაშვილი.



მელიას თავ-გადასაპალი.

(ზ ღ-ა ვ ა რ ი)

თავი IV

ასახლები გაფარდა სხა — რომ თვით მელიას უნებებია გამოცხადდეს წინაშე მეფისათ და დიდი, თუ პატარა გამოსულიერ გარეთ გუდანის სანახავათ.

იყი მხნეთა და უშიშრიათ გამოიუყრებოდა; მოაბიჯებდა ამავათ და ისე რაინდელათ ეჭირა თავი თითქო აქ არაფერია, თითქო არაფერი იუს დამნაშაკო. როგორც იუ წარსდგა იგი წინაშე მეფისა. სახეზე სიმძიდე ემჩნეოდა.

— ჩემი იმედო! — დაიწეო მელიამ და მოხდენილათ მოისარა თავი. — ეოვლად შემძლებელო, უძლიერესო ბატონ! თქვენ როგორც მამაცომით და ისე კეთილშობილობითაც ეკელაზე მაღლა სდგესართ დიდებულთა შორის და სწორეთ ეს გარემოება მაისულებს მოგმართოთ თქვენ უმორჩილესი თხოვნით — მოისმინთ და გაიგონთ ჩემი უკა-

ნასკნელი სიტყვა. მით უფრო გაბედვით გამბობ ჰმისწერებისა ცანაც გვრმნობ, რომ ჩემზე ერთგული უძა, შეუსუიდველი და თავ-დადებული თქვენს სამეფოში ერთი-ორი არ მოგე- პოვიათ. აი სწორეთ ეს არის მისები იმ შერისძიებისა და დევნისა, რომელნიც მომართულია ჩემდამი თქვენი კარის კაცებისაგან. ვერ მოუნელებიათ იმათ ჩემი ისეთი ერგულო- ბა და თავ-დადება და ცდილობენ როგორმე თქვენ გული აგაურევინონ ჩემზე და მე გამწირონ. თქვენ რომ უური და- ბეგდოთ უველა ჩემს შესახებ გავრცელებული ჭორებისათვის, თქვენს მოწეალებას აქამდისაც მოვაკლდებოდი. მაგრამ თქვენ მართლ-მოუვარე არსება ბრძანდებით. უოველი სიტყვა აწო- ნილ-დაწონილი გაქვთ, თქვენი ბედნიერი უურით ისმენთ მოჩივარისაც და ჰახუხისმებელსაც. ღვე, იშურისმიონ, ღო- ბე-უორეს მოედვნენ, მე არაფრისა მეშინან, რადგან ალალ- მართალი ვდგევარ თქვენს წინაშე და დარწმუნებულიცა ვარ, რომ თქვენი დიდებულება არ გააწირავს თქვენ უმორჩილესს და ერთგულ ემსა და მონას...

— მეა, კრინტი!!!.. შეუუკირა განრისხებულმა ლომშა.
— მაგითი შენ უონს ვეღარ გახვალ, შენი თავის მოკატუნება და მლიქეი ენა ვეღარ დაგიხსნის... შენი სიბოროტე აღე- მატება უველა ბიწიერებას, ვისგანმე როდისმე ჩადენილს და სიკვდილით სასჯელს ვეღარსად წაუხვალ. შენ რა უფ- ლებით უარ-ჟეავი ჩემი სიტყვა, ჩემი ბრძანება? რათ და- არღვიუ მშვიდობა და მმობა, ჩემმიერ გამოცხადებული მხეც-



თა და ურინველთა შორის? აბა, შექსედე ამ მწარეთ იდგა
ღონებულს და დამბარებულ მამალს, რათა ტირის იგი?
მოიგონე, ცბიერო ავაზაკო და მიგე ჰასუხი. ვინ მიაუენა
შეურაცხება ჩემს დიდებულ შიერიებს?.. ბოსვერა რის ვაი-
გავლახით გადავარჩინეთ სიგვდილს, და კატა ხომ დღესაც
ლოგინათ არის ჩავარდნილი შენი ვერაგობით... და რამდე-
ნი სხვა — ვინ მოთვლის შენს თინებსა და ამბებს; და
დღესა მთხოვ მოგისმინო და შეგიწყნარო კიდევ? არა, არა,
შენ თავს ვერაფრით გაიძართლებ და დაისჯები კიდევ თა-
ნახისთ შენი სიბოროტისა.

— დიდებულო მევევ! — უასუხა მელიაშ. მე სრულიად
დანაშაულობა არა მიძიძევის-რა მათ შესახებ. ბოსვერაშ თვი-
თონ ინება თომას საუკუნეში გადაბრძანება, უკელაფერი
მიუნგრივ-მოუნგრია და ამას გლეხები რათ აპატიებდენ და
კარგები ურტეეს. აბა რა ჩემი ბრალია! თქვენ კარგათ მო-
გეხსენებათ მაგისი მალა და ღონე, განა არ შეეძლო ვაკ-
კაცობა გამოეხინა და არ გაელახებინა თავი ვიღაც წირა-
ლიან დედაკაცებისთვის?.. ახლა ციცუნიაზედაც მოგახსე-
ნებთ. რა სიამოუნებით მივიღე იგი! რა მასინმლობა გა-
ვუწიკ, მაგრამ კიდევ თავისი არ დაიძალა, შეიარა ეშმაკი
სხვის სახლში საქურდლათ და ამ ავაზაკობისთვის კარგათ
მითეთქვეს. მე აქ რა შეაში ვარ, ერთი მიბრძნეთ, დიდე-
ბულო მევევ! უკელაფერი მაგათი ღორ-მუცლობისა და სი-
სულელის ბრალია და სხვა არაფრისა. მე-კი რაცა ვნებავ-

დეთ ის მიეცით; დამტანჯეთ, მაწამეთ, ჯვარის-მაცეით, რისა არ მეშინაან, რადგანაც გული პართალი მაქვს და სიძართლისათვის უკლავერს ავიტან.

ამ დროს გამოხნდენ სხვა მომჩინოებიც: კატა, დათვი, მგელი, კურდღელი, ცუბუა, კიკინა თხა თავისი მეუღლით, მროხა, ცხენი. ამათ მოჟუქნ: ირები, წავი, კვერნა, ბაჭია, მოფრინდა ასიდაც (ცაშლა) და ულ-მოღერებული წერო, გარეული ბატი და ჭროლა იხვიც და მრავალნი სხვებიც, ვის წინაშეც-კი მელიას რაიმე დანაშაულობა მოუძროდა. აქვე გულ-საკლავათ ქვითქვითებდა საცოდავი მამალი თავისი ობლებით, ატედა საძინელი ჩივილი და მითქმა-მოთქმა მელიას ავასაკობაზე. მაგრამ შეჩვენებული მეტის-მეტათ მშვიდობიანათ იდგა და შებლს ძირის არ ისრიდა. მარტო საჭირო იუო, რომ ლაპარაკი დაწერო—თავის მჭერ-მეტეველებით და ძლიერი ენით აოცებდა და აკვირებდა უკლას. ეს უკლაფერს უარ-უოზდა, უკლაფერში იმართლებდა თავს. საჭირო იუო მხოლოთ ამის სიტუაცისთვის დაგევდოთ ური, რომ დაწმუნებული-უავით, უკლა მაგასთან სტუის და ტეუილ-უბრალოთ ცილსა სწამებსო. მაგრამ საქმე იმაში იუო, რომ ამას უურს აღარავინ უგდებდა, ამისი აღარავის არავერი სჯეროდა. საბჭომ დაადგინა მელიას ჩამოხრიბა. დაწმუნდა მელია, რომ მჭერმეტეველობამც გერა უშეელა-რა. ცოტა არ იუოს დაცილონდა და ნაცრის ფერმა გადაჭრა, მის



ბრწყინვალე სახეს. თვით ლომი აბრძანდა სამეფო ტახტზე. ქელას თვალ-წინ წარმოუდგა დასამცირებელი და საშინელი ბოლო. გააკავეს იგი და გამოიუვანეს სასახლიდან. მისი მეგობრების მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. მაჩვა, მანჭია მაიმუნმა და მელის სხვა მრავალ მეგობართ ბუზ-ლუნით მოისმინეს განაჩენი და დასტოვეს სასახლე. მეფე მალიან სწუხდა, რომ ამდენი ერთგულნი სტოვებდენ მას.

ჩვენი ტუჩა, ციცუნა და ბოხვერა-კი ამ დროს დიდ ფაცი-ფუცი ბრძანდებოდენ, დიდ მზადებაში. ამათ გაიუვა-ნეს ტაქტი ერთ მინდორში, სადაც სახრისობელა კიდევაც მოემზადებინათ

— მოიგონეთ, მეგობრებო, შეურაცხებანი ამ გარე-წარისგან. აბა, თუ გადახდაა, ახლა გადავუხადოთ. მო-იგონე, ბოხვერავ, რა საქმე დაგმართა ამ შეჩვენებულმა. ახ-ლაც-კი უკელას სახლაშარავო თქვენა ბრძანდებით. თვალი არ მოაშოროთ ამ წეულს, სელიდან არსად გაგვისხლტეს, თორემ ჩვენი საქმე წასული იქნება, ლაპარაკობდა ციცუნა და გამარჯვების ნიშნათ ულავშებს ათამაშებდა.

— რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, თქვა მგელმა. მო-მეცით ახლავე თოკი და ისე შევბოჭავ, რომ აქვე სული გაანთხიოს.

მელიას ესმოდა ეს სიტუაცია და სიბრძნისაგან კანკა-ლი მოსდოოდა; — ვხედამ, ვხედამ, თუ თქვენ რანაირათ გე-

ჯავრებით, სიჩუმის შემდეგ წარმოთქვა მელიამ,—გინდჲთ
ჩქარა ბოლო მომიღოთ და საქმის დაწყება-კი კერ მოგი-
სერხებიათ. აბა ერთი შეგვითხეთ ემაგ უტვინო ციცუნიას
და ებ გასწავლით საქმე როგორ დაიწეოთ—ეგ ხომ ერთ-
ხელ არა უოფილა ჩამოკიდებული ბაწრით ამბარში. და თქვენ
ბანჯგლიანო ბოსვერავ და შენ პირ-მურალო ტუჩავ, ძალიან
მოწადინებული ხართ ჩქარა ბოლო მომიღოთ, ძარამ ამას
თქვენ კერ მოესწრებით, კერ გაიხარჯით ჩემი უბედურობით.

ძალე ლომიც მობრძანდა თავის დედოფლით და ამა-
ლით. დადგა უკანასკნელი ქამი მელიასი. გარეწარი ფიქრმა
წაიღო. «აქ აღარა ხუმრობენ, ახლოვდება ქამი დასასრუ-
ლისა, ეგელა უბედურება მე თავს დამატეხეს. საშიშ მდვო-
მარეობაში ვიმუოვები, მეფეა განრისხებული ჩემზე და მე-
გობრებმაც უნუგეშოთ დამტოვეს; მტრებიც მეტის მეტი შე-
უბრალებული და მმღავრები მევანან; ახლა ერთი სანატ-
რელი ის-და დამრჩენია, რომ ნება მომცენ ხმის ამოღები-
სა და მაშინ მე ვიცი, ფიქრობდა თავის თავათ მელია.

აი აიუვანეს კიდეც კიბეზე—მელიამ უკანასკნელათ გა-
დასვლო თვალი იქ მეოფო და ხმა მაღლა დაიწეო ლაპა-
რაკი:

— მე ახლა საშველი აღარა მაქს-რა, სიკვდილი მო-
ახლოებულია. უკანასკნელათ ერთი სათხოვარი მაქს, მო-
მეცით ნება, ვინემ კიდევ პირში სული მიზგას, ერთ რამე-



მი გამოგიტედეთ, რომ ბრალი არავის დაგატედეთუალაქონი
ჩემი სიკვდილის შემდეგ. ეს აღსარება შეეხება იმისთანა საქ-
მეს, რომელიც ერთათ ერთმა მე ჩავიდინე. ამითი სხვებ-
საც დაიხსნით ბრალისაგან და ჩემ სულსაც შეღავათს მი-
სცემთ სიკვდილის ქამს.

ბევრს კიდევ შეეცოდა ეს აკაზაკი.

— დექ, თქვას — დაიგრძალა ბრძომი, თხოვნა უბრალოა
და შესაწენარებელიც, რადგანაც მისი აღსასრული თან-და-
თან ახლოვდება.

ლომბა დასტური დასცა. მელიას სისარულით გული
აუთამაშდა. მიეცა იმედი თავის დახსნისა.

— ამ კრებაზე, მკონი, არავინ უნდა მოიპოვებოდეს,
რომ ჩემვან რაიმე არ გადახდენოდეს, შემკრთალი ხმით და-
იწეო კუდაში. — მე არავინ არ დამიზოგავს — არც ბატი, არც ქა-
თამი, არც ციკანი და არც იხვი. სან-და-სან იმდენი ნანადირე-
ვი შემიგროვებია, რომ ჭამის თავი აფარ მქონია და მიწა-
ში ჩამიფლავს. აი ერთხელაც ზამთარში გავიცანი მელი;
დავმეგობრდით და შევფიცეთ ერთმანეთს ხაშოვნის შუაზე
გაეოფა. სამწუხაროთ ამ მეგობრობას ჩემთვის ზარალის
მეტი არა მოუტანია-რა. არას დროს არ მიმიღია ჩემი კერ-
ძი, აბა გაუმამდარ მელს და იმის შეილებს რა გადარჩე-
ბოდათ! სან-და-სან მკალს თუ მიწილადებდენ ხოლმე და
ამასაც იძვიათათ, მაგრამ მე მიშილისა არ მემინოდა, რად-
განაც საზინა მქონდა დაფლული ერთ საიდუმლო ადგილას.

ისიც საკმარისი იყო ჩემთვის. იმოდენა თქოსა და ჟერუსალემი
შვიდი ურქებიც ვერ აუვიდოდა...

ლომმა სიტუა გააწევეტინა.

— საიდან შეიძინე ეგ სიძღვირე?

— ამ საიდუმლოს თქვენს დიდებულობას არ დავუმა-
ლავ, უნასესა ცბიერმა. — ან რაფა საჭიროა იგი ჩემთვის;
საიდიოს ხომ არ გავიუოლიებ იმ მვირფას განმს, ეს ხა-
ზინა გახლავთ მოჰარული. მრავალთ განიზრახეს თქვენი
სიკვდილი, დიდებულო მეფევ, და იმ წუთში ის ხაზინა რომ
არ მომეპარა, ახლა თქვენ ცოცხალი აღარ იქნებოდით.
ამ განმზე იყო დამოკიდებული თქვენი სიცოცხლე და დღე-
გრძელობა. ხაზინა მოჰარე მე მამახემს. საწეალმა ბერი-
კაცება დარდისაგან უდროვოთ დალია სული, მაგრამ ამ ჩემ-
მა საქციელმა თქვენ-კი დაგიხსნათ უსათუო განსაცდელი-
საგან.

დედოფალი კანკალით და შეშვითებით ისმენდა ამ უც-
ნაურ ამბავს ხაზინაზე, დალატზე და ქმრის მოსალოდნელ
სიკვდილზე. დიდებულ ლომისაც დაეტეო აღელვება.

— ჩამოდი მირს მაგ კიბიდან და მოდი ჩემთან ახ-
ლო. მე მსურს შენგან ჟელაფერი დაწვრილებით შევიტეო
და ესეც იცოდე, გარეწარო, რომ მენ ნათქვამში იოტის-
ოდენა ტუუილი არ უნდა ერიოს.

მელიას სიხარულით გული აუჩქროლდა; დაებადა ეძ-
მავს დახსნის იმედი, თუმცა თავის სულის მდგომარეობა



არავის არ შეამჩნევინა. ჩამობრძანდა იგი ნელ-ნელა კიბი-დან მტრების საყალბლოთ და მოუხსლოვდა ლომსა და დე-დოფალს. «ახლა მე კარგი დრო დამიღვა, რომ მევე-დედოფლის გული მოვიგო და მათთან ჩემი ბოროტი მტრები გავაშავო, ცილი დავწამო, დავაბეჭდო და მე-კი თავი დავისხნაო, ფიქ-რობდა ეშმაკი. იმდენს ტუშილებს დავახლი, რომ უკელა ბრაზზე მოდიოდეს. სწორეთ რომ მოულოდნელი ბედნი-ერება მეწვია, ბედმა გამიღიმა!

— გვიამბე დაწვრილებით, რაში გამოიხატებოდა ის შეთქმულობა, ჰქითხა მელიას დედოფალმა.

— დიდის სიამოვნებით, უასეუსა ცბიერმა. ახლა ჩემ-თვის სულ ერთია, საცაა უნდა მოვკვდე, ჩემი დახსნა შე-უძლებელია და აბა, რიგასთვის დავმალო, რისთვის შევა-წუხო ისედაც დატანჯული ჩემი სული. ეს ხომ ჩემი მხრივ სისულელე იქნებოდა.! ის მირჩევნია გულ-წრფელათ უკე-ლაფერ აღვიარო, სულს სიმშეიდე მივცე; თუმცა-კი ბევ-რი ჩემიანი და შეგობარი გაებმის ამ ქსელში, მაგრამ რა ვუშა? კარგათ მოგეხსენებათ რა მნელია სიკვდილის ქამს რომ გაწუხებდეს რამე.

ამ სიტყვებმა მევეზე მალიან იმოქმედეს, იგი დაჯავრი-ანდა და მწარე ფიქრებმა შეიარეს მისი დიდებულება.

— მაშ მართალია, რასაც შენ ლაპარაკუობ? შეეკითხა ლომი.

— ჰემარიტათ, რომ მე დიდი, დიდი ცოდვიანი ვარ, მაგ-

რამ ახლა მართალს მოგახსენებთ. ან რა სასარგებლობა ახლა ჩემთვის ტუკილის მოხსენება — ამითი ხომ სულ მთლათ დავდუავ ჩემს ცოდვილს სულს. — ახლა ხომ მე უნდა ჩამომახრჩონ და სიკვდილის წინ ტუკილს არ ვიტქვი, არა! სიცორუე მე კეთილს არ დამაურის. თქვა გარეწარმა მისუსტებული ხმით და დაიწუო ტირილი.


— მეცოდება საწყალი, თქვა შეშფოთებულმა ღეღოფალმა. — მისი ლაპარაკი ისეთ შესანიშნავ საქმეს მექება, რომ მისი მოუსმენელობა კარგი არას დაგვაურის. ღემ, განუმდეს კველა და მელიამ უკელას წინაშე გვიამბოს ეგ შესანიშნავი საიდუმლება.

მეფემ გასცა ბრძნება და საზოგადოებაში სიჩუმე ჩამოვარდა.

— თუმცა-კი მე წერილობითი საბუთები და სიგელები არ მიჰირავს ხელში, მაგრამ ჩემმიერ მოთხრობილი სრული ჭეშმარიტება გახლავსთ. მე თქვენ გიამბობთ შესანიშნავ ამბავს და ნურას უკაცრავათ თუ ვისმე პუდი მოეწვის ამ ნაამბობით.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი აქცენტი)





ჭიაპოპონგა ღამეს.



იდ-მარხვის უკანასკნელი კვირის ოთხშაბათია, საღამოსანი. სოფელ გოროხიანის წერილ-ფეხობა დიდ აღიარეთშია. მეტადოუ გოგოები აჭირვებენ საქმეს თავისის მოუსვენრობით, ფაცი-ფუცით; ჭიაპონის სამზღვისისთვის სიხარულით ფეხზე აღარ სდგანან.

— მამილოჯან, ერთი იღლია თივა ჩამოგვიურე სათვიდან, ეღრიჯება ჸატარი ნუშო მამას. — ჩვენებიანთ ერთი ურემი ულო ჭიანიათ შენახული დღეისათვის, მთელი დამერო ენთოთ ჭიაპონა, არ გაუქრებათ! ისმის ერთ კარებზე.

— აქეთ მოიტა, აქეთ! აი ამ სწორე ალაგზე დაჭებრე, წიკვინებს ნატო მეორე კარმიდაძოზე და ჩოხის კალთით ეწევ თავის მმა ზაქას, რომელიც კარგა დიდი თივის კო-

ნით მმიმეთ მოაბიჯებს საბძლის ბოლოდან, სადაც დედ-
მამის ჩუმათ, საბძლის სასურავს დაამრო თითო—თითო ბლუ-
ჯობით თვალი და დღეისთვის მთელი მოსაკიდი შექმნა.

— შეიღო, ბაკიდან მოშორებით დაანთეთ, ღობეს არ
წაუკიდოთ. ეუბნება მართა გოროხიანის მამასახლისის ცო-
ლი თავის აფორიზქებულის გოგო-ბიჭებს.—წენარათ, დამშვიდ-
ღით, თქვე ლაწირავებო, რასე გადაირიეთ! ერთი უბედურე-
ბა არა მოახდინოთ-რა! ცეცხლთან თამაში ხუმრობა-კი ნუ
გეონდათ! შარშან არ იქო ნოსაძიანთ მარანი სულ გადიწვა
ჭირკონის ნააერწყალით.

— არა დედიღო, არა, ნუ გემინიან. შენ მინ წადი,
ჩენ არაუერს გავაუშებთ, უველავერს გავუფრთხილდებით
და ჟივილ-ხივილით, სარსარით ავროვებენ ერთ აღაგას
რაძეენიმე ბიჭისგან მოტანილ თითო იღლია ჩალა-ბულას,
მართას გოგოები.

— ო იცოდე, თედო, ეუბნება ერთი მოზღიული ახალ-
გაზდა გლეხი სოფლის გზაზე მიმავალ ამხანაგს, გონგ-
ლაძიანთ ბიჭებს რა უქნიათ: ერთი სამნე ურემი გამხმარი
ებალი მოუტანიათ ჭილიდან და სოფლის მოედანზე აღირე-
ბენ ჭირკონის დანთებას. სოფლის მოზღიული ბიჭები უნ-
და გაჯიბრდნენ და ვინც უფრო დიდ ცეცხლზე გადასტუბა
ადგიომის წითელ ხელსახლცს მოახვევენ ულზე.

— აბა გონგლაძიანთ გიგუას ვინ აჯობებს, სამ ნაბად-



უ სტება და იმისთანა რა ჭიათურა უნდა იქვეს, რომ ის
ვერ გადახტეს. მიუგო თევზომ.

— შენ-კი არ გაჯიბრდები? შეეგითხა ამსანავი.

— რატომ, მაგრამ... იმოდენა ხალხში რო აყცდე?..
სირცხვილია. კიუინას დამიკრამენ!..

— ჭიათურაზე ხომ მაინც უნდა გადახტე საღმე და
რა გენალვლება გამოსცადო, «ცდა ბერის მონახევრება»
იტევიან ბერიკაცები. არ ეშვებოდა თევზის ამსანავი.

— ჴო და! ზლაზენით დეეთანხმა თევზ ამსანავს და
ჰირი მიიბრუნა სოფლის მეიდნისკენ, სადაც უმველებელ
მემვის გორას თავს ევლებოდნენ ვაჟაცები.

კარგა შებინდდა. მთელი სოფელი ბურუსშია გახვეული.
აქა-იქ კარ-მიდამოებზე აპრიალდა ცეცხლები, გონგლამიანთ
ძემზმაც დაიწუო ტკრუცუნი. ზღაპრული შეხედულობა მიიღო
ჩვეულებრივ უფერულმა და ღატაკმა გოროსიანმა. მთელი
არე-მარე თივის ალით არის გაბრწუინვალებული: შეელი
ქოსმახები, ჭუჭუიანი ბაჟები, ნასევარზე მინგრეული ხის
ჭდეული ერდოები, წენელის საბძლები, ფარესები ოქროს
მოვარაუებულ ჯადოქრულ სასახლეებს დემგვანენ. ცეცხლებ-
თან აუარებელი ხალხი ტრიალებს, სმაურობს, წიოკობს,
ხარსარებს. «ალული კუდიანებსა», «ალული კუდიანებსა»
გაისმის უოუელ კუთხიდან და დაკარწახებული გოვო-ბიჭები
გაშმაგებით ასტებ ან აპრიალებულ თივის გორებს.

— მეც მინდა ჭიათურონაზე გადახტომა! დაქინებით
თხოვლის ჰატარა დოდო. — მეც მინდა...

— არ შეიძლება, გეთაუგანე, ფეხები გაგესვრება, გაი-
ლები, შეიძლება ცეცხლშიც ჩავარდე. სომ სედავ ჭინკები-
ვით ირევიან ერთმანეთში, ერთმანეთს რო ღევასნენ შეგ
შუაგულ ცეცხლში ჩასცვიან. აშომმინებს გამდელი ჰატარა
დოდოს, რომელიც სოფლის ბირ-და-ბირ, ჰატარა ხევის
გადმა ბატონიანთ ბალეონზე გადმომდგარა და ამ გაჩირალდ-
ნებულ სოფელს გადმოჟურებს.

— მინდა, მინდა... ჭირვეულად ააარტურნებს ფეხებს
განებევრებული ჰატარა და სცდილობს გამდელს ხელიდან
გაუსხლტეს.

— მოიცა, დედას გვითხოთ, თუ ნებას მოგვცემს, წა-
გიშვან.

— მინდა გესმის, მინდა, მეც მინდა გადავხტე ჭიათუ-
რონაზე, უფრო და უფრო ჭირვეულობს ჰატარა ნებიერი.

— წავიდეთ, დედა არ გაჯავრდება, წავიდეთ... ა იქ მინდა, ა
ახლო რო ცეცხლი მოჩანს. სედავ რამდენი ჰატარა ქალები
ხტუნაობენ, უვირიან... იცინიან, ერთმანეთს უსწრობენ...

— შენ იმათში ჩარევა არ შეგვენის, ისინი გლეხის
შვილები არიან. შენ მორთულობა გავესვრება, გაწეუსიან-
დები, ბრიუვათ მოვიქცევიან, ხელსა გევრენ... თავის ჭიუაში
ვითომ არიგებს დოდოს შეუგნებელი გამდელი.

ჭიათურონა თანდათან ცხოველდება, სოფელში, სისარუ-



ლის უიქინი თანდათან მლიერდება. პატარებს შედგენიც
ჩეკრივნენ. პატარმლები მოკრძალებით, მაგრამ ბაჟშერის გა-
ტაცებით ჭირიან ცეცხლს, სან-და-ხან ბებერი, დარბაისე-
ლი დედამთილებიც აბიჯებენ ჭიათურნას: უკელას უნდა
რომ ჩვეულებას არ უდალატოს და ალზე გადაბიჯებით
თავისი ეშმაკი ცეცხლში ჩახვის, ჩაბუგოს *).

რვა წლის პატარა დოდო ედიშერაანთ ოჯახის ერთად
ერთი მემკვიდრეა და მასთან მშენიერი ბავშვი: თეთო-წითე-
ლი, თმა-ხუჭუჭა, ქუქუნა თვალებით, ალისფერი მარჯნის
მაგვარი ტუხებით და იადონივით ხმა წერიალა, დედის,
ბებიის, მამიდების სათაურანებელია. უკელა ამათვანი უალერ-
სებს, უფთხილდება, თავს კვლება, შეუწევეტლივ შეაქებს
დოდოს სილამაზეს, სიტურვეს. ეოველი იმისი სურვილი,
ურველი იმისი ბრძანება დაუკონებლივ გმხოველდება. დო-
დოს ამლევენ განა თუ მარტო იმას რაც ესაჭიროება, რა-
საც მოითხოვს, არა, თავს აურიან, ავსებენ, ამალებენ ჭამას,
ხმას, თამამობას. აუარებელი სათამაშოები უურია გარშემო
და ამტვრევს, ამსხვრევს რასაც-კი მოისურვების.

მოსამსახურებიც ბატონების მიბამვით, რასაკვირველია,

*) სოფლით გავრცელებულია ცრუ-მორწმენოება, კითომ უკელა გაცი-
ებავი ჭავეს დაპარტონებული და დად ათხშაბათს ჭიათურნაში უნდა
ჩაგდეს.



ხელს უწეობენ პატარას გადახარბებულ ნებივრობას, თვით ნებობას.

აი ახლაც ნენე გამდელი, თუმცა იცის ოთ ქალბატონები გაუწერებიან ბავშვის სოფელში გაუგანას, უარს ვერ ეუბნება, მით უფრო, ოთმ თითონაც სული მისდის ჭიათურნაზე გადახტეს და მოახლოვებულ მეზობლის კარებზე მიჰეავს.

ბატონიანთ «კნიაქნას» მოწიწებით ჩამოუცალნენ ჭიათურნიდან გოგო-ბიჭები; უკელაძ იმას დაუთმო გადახტომის პირველობა. დოდო-კი გაუბედავათ სდგას ცეცხლის წინ და ვერ მოუხერხებია გადახტომა. ოაღაც გამოურკვეველი შიში უკრავს ფეხებს. სხვა ბავშვები-კი მოუთმენლად ელოდებიან; სუმელას ფეხები უცმუავს, სუმელას მარჯვენა ფეხი წინ წადგმული აქვს, ოთმ თავადის ქალს უკან ის პირველი გაშევეს და გააგრძოს სასიამოვნო დროს გატარება. დოდო-კი გადახტომას ვერ ბედავს.

— გადახტი, ოაღა, ნუ გემინიან, უკანიდან წასხურჩულებს ნენე. გადახტი, ამოდენა ხალხი შენ გელოდება.

— დამაცა... არა ბავშურის ბრძანებლობით შეუტია პატარამ გამდელს და საუკედურით გადახედა.

— გადახტი, გადახტი... სთავაზობენ დოდოს გოგოები.

— გადახტი, ბატონიშვილო, მოწიწებით ამხნევებენ დედგუცები.

დოდო-კი ამრეზილი სდგას გაჩადებულ ცეცხლის წინ და ალოდინებს ამოდენა გოგო-ბიჭებს.



— გადახტი რაღა! მოუთმენლად შექვეირა ბჟორეთის მიერად
რომ და მოუთმელობისაგან აღელვებულმა ოდნავ მუჯლუ-
გუნიც წაჭირა «კნიაუნას»; წინ წადგა გაბედულათ, კაბის
გალთები აიწია, წელში წაისარა, «ალული კუდიანებსო» მსა-
რულათ შესმახა და ის იუო სკუპი უნდა ექნა და ცეცხლს
გადავლებოდა თავს, რომ განრისხებულმა დოდომ სელი წა-
ჭირა და ბავშვი შუაგულ, გავარგარებულ ცეცხლში ჩააგდო.

— ვაი, ვაი! გაისმა გარშემო. სალხი აირივ-დაირია. ერთ-
მანეთის წახედვით შეეღა ვერავინ მოახერხა. მარო-კი სა-
მინლათ წიოდა, იმის გაწერილ თმას ჭიაკოკონის ბალახი-
ვით პრიალი გაჭირნდა, სელები ცეცხლის ნაფერდალში
ჭირნდა წაფლული, ტანისამოსზე ბოლი ასდიოდა.

— ვაი დედასა, შვილო! სამინლათ შექვივლა მაროს
დედამ, რომელიც სალხის ხმაურებაზე სახლიდან გამოვარ-
და და გააფთრებული აოწივივით დასტაცა სელი თავის საუკა-
რელს ბალდს და ცეცხლიდან მაღლა აიტაცა. საჩქაროთ თა-
ვის კაბის კალთა გადააფარა და წამზე ცეცხლ მოკიდებუ-
ლი თმა გაუქრო; მერე-კი მღელვარებით დასუსტებული ძირს
დევშა და გულში ჩაკრული შვილით გულს შემოექარა.

— არიქა წეალი, მმარი, კართოვილი, სიმინდის ფეხი-
ლი, აბლაბუდა... ევიროდნენ მთელი სოფლის დედაქაცები,
რომელნიც ერთ წამზე აქ შეიუარნენ და ცდილობდნენ გულ-
შემოურილ დედა-შვილისათვის ენუგემნათ.

მაროს დედა მალე მობრუნდა, გონს მალე მოვიდა, მაგრამ კაი იმის მობრუნებას. სიმწარით მთლათ ცასკახებდა. მარო თვალებ-დასუქელი უგონოთ იდო დედის კალთაში და საშინლათ გმინავდა. სახეზე მასაკვდინებელი ტანჯვა ეხატებოდა, მთელი ტანით თრთოდა...

— ვამე, შვილო! თავში ხელის ცემით იმეორებდა მაროს დედა, ვამე...ე...ე. მიშველეთ ქრისტიანებო, მიშველეთ, ნუ მამიკლავთ ჩემ პატარა გოგოს, მიშველეთ... მიშველეთ, თქვენი ჭირიმეთ... და თან კბილებს აწაკწაკებდა, ლოუებს იკაწრავდა, მუხლებს ითქვევდა ხელების ცემით. — წესებიც იუვეს ვინც ჩემ ცოდვაში ჩავარდა, წესებიც...

მეზობლები გარს ეხვივნენ დამწვარს, ადებდნენ უოველ-გვარ გასაგრილებელ წამალს, რასაც-კი ვინმე ასწავლიდა: აურიდნენ დაჭრილ უმ კართოვილს, სიმინდის ფქვილს აბურ-ცებულ ხელის თითებზე, მუბლზე, ნიკაზზე; ტბავ-გადამძრალ ალაგებზე აბლაბუდას აკრავდნენ.

უოველი ხელის მიკარებაზე დამწვარი თავით-ბოლომ-დინ თრთოდა და გულის საკლავათ წმუოდა. თვალებ-დასუქელს, კრის-შეკრულ მაროს გამობრუნების ნიშანიც არ ეტეობოდა.

დოდოს უველა თვალის არიდებდა, რაღაც ზისტით და აღმფოთებით უურებდა. ის-კი ქვის ქანდაკებასავით უნბრევ-ლად იდგა დაფერფლილ ჭიათურის გროვასთან: ორივე ხელი ერთმანეთზე გადაეჭირა, ტუჩები მავრა მოეკუმა, კი-



სერი დაბლა დევდო, თმები წინ წამოსწეროდა ჭარბისას
წარკეთილებას შექმურო. შხოლოთ სან-და-სან, როდესაც
ურის მოჯკობვდა მაროს გმინვას და იმის დედის უხომო
ვაგლასს, გააქრეთლებდა თავით-ბოლომდე და გაფიტრებულ
სახეზე ტანჯვის ზარი გადურბენდა.

— ბატონიშვილო, ღმერთს შეეხვეწე რო ბავშვი მოაბ-
რუნოს, თორემ კაცის-მკვლელს დაგიძახებენ, სიბრალულით
წაუტუტუნა მოხუცმა ნინომ გაშეშებულ დოდოს და ავათ-
მუოფისაკენ გეეშურა ბატონიანთვან მოტანილის ზეითუნის
ზეთით და ცარცით.

დოდოს, ნინოსაგან სასოებით ნათქვამი სიტყვები,
ღვთისაგან მონაბერივით მოესმა. იმის პატარა გულში რა-
ღაც მხურვალე გრძნობამ გაიღვიმა, იმისმა გაამარტივე-
ბულმა სულმა შენანება იგრძნო და უახრო ადზდით დაჩაგ-
რული სამართლიანობა აღადგინა.

«ღვთის-მმობელო»: შეჭერია დოდომ და მუხლებზე
ღმუა.—«ღვთის-მმობელო, გეხვეწები მაპატიე და პატარა
მარო მოარჩინე». და თან პატარა ლამასი ხელები ზეცის-
კენ ააპურო და ზეცისკენვე აჟურობილი თვალებიდან მდუ-
ღარება გადმოსცვივდა.

— ღვდი, წეალი! სწორეთ ამ დორს ამოიკვნესა მა-
რომ და უველა აქ მუოფმა შვებით ამოისუნთქა. «მადლობა
დმერთს, მადლობა ღმერთს! ბავშვი გამობრუნდა».

— გამობრუნდა? არ მოკვდება!? ხმის კანკალით წამო-

იუვლა დოდოძ და ხელმეორეთ ხელი აღაპეორ ზეცას:
«მადლობელი ვარ, ღვთის-მშობელო, მადლობელი, რომ
მარო არ მოკვდება».

მშენიერი რამ იუო ამ წამს ჰატარა დოდო. მისი და-
სატული სახე, წაბლისფერ ხუჭუჭებით შემჯული, ზეცისკენ
ასერობილი ხელები, ცრემლებით დანამული თვალები ნია-
ვით არიალებულ ჭიათურის აღით გაბრწეინვალებული,
სწორეთ სასწაულებრივ მოჩვენებას მიაგავდა.

სალხმა ამ ლიმობიერებისათვის ბავშვს სუშველაფერი აჩა-
ტივა და მისი საქციელით აღელვებული გული, მისივე დიდ-
სულებრივის შენანებით, დაზავა და დაიმშვიდა.

ეკ. გაბაშვილი.



Ը Ե Պ Ո Հ Ե Ն.

(Հյեմօնիկ թուղթուն)

XXVIII

Թ Ե Խ Ա Ր Ա Մ Ա Ր Ա Տ.



աջա Շոծուս ֆինա լամբ. լանցուս գուզո սասակլոյ մտլատ ցհինհալդոնեպշուլո ոյո ատասո լամբեցոտ և սանտլոյեցոտ. յուս և մեուս չյենուս ցահճա տոռմերո քարտարա վալու կո- պա չիսաւլատ սելութիւն, և մնացնոյրո, սյիրուալա ծաց՛շեծո մեօս- հուլատ Շեցրուցուուցը մժուղուլատ մոհուտուլ սասրութիւն ռոտա- ՛մո, սաճաւ գուզո սայութուցո նամցուս եց ոյո և մուս ցահ՛շեմո պառաւուլցարո սահույիրեծո ցըլացա, լանցուցան, մուսո պուլու և արու- թիւնուսացան նայուցո և մոմիւալցեպշուլո քարտարա վալցեծուսաւցուս. ալուսպո- ծուլու ծաց՛շեծո եան ցրտ ցակեցուլ սահույարու առցալոցրութուլո, եան մեռնցուս, եան մեսամեցուս, մակրամ պարուաչու պուրու պարուաչու պարուաչու հաճաւ պարուաչու մաճալու կալատո օնութացու, հոմելուսաւ տացու մաց- րատ չիսոնլա մոյրուլու.

— Վո՞ն ցամոցթացնա ցս կալատո, մամա? — հակոցը թուլա լանցուս քա- րտարա յըտա.

— Առ, մուտմինց և ցանցեծ! — մուցրո մամամ, լոմուլուտ Շեքելա չյենս և ցրտենուատ դաշնիցու կալատս տացուս մոեսնա.

ჯენი აღტაცებით ათვალიერებდა ძეირფას საჩუქრებს, მის გარშემო იყო; მის ლურჯ თვალებში ისეთი ბეჭდიერება იხატებოდა, მისი ნაზი სახე ისე განათებული და გაცისკრონენბული იყო, რომ არტურს ერთი წამითაც უერ მოეშორებინა მისთვის თვალი.


ბოლოს, როგორც იქნა, ლანიემ ახსნა კალათს თავი და სახურავს შიგნიდან დაწეპებულ ქალალდზე ეს სიტყვები ამოიკითხა:

„საჩუქარი ლედი ჯენ ჩერჩილს არტურ მენარისაგან“.

— ჰო! ხომ გამბობდი! მე ხომ გამბობდი! — მხიარულათ ტაში დაუკრა ეტამ. — მე ვიცოდი, რომ ეგ საჩუქარი ლედი ჯენის იყო! და უთუოთ მშვენიერი რამე იქნება!

ლანიემ გახსნილი კალათი არტურს გადასცა, არტურმა-კი ლიმილით დადგა კალათი ძირს, ჯენის ფეხთით.

— როგორ მოგწონსთ ჩემი საჩუქარი? — სიყვარულით ჰეითხა ჩან ბავშს და ფრთხილათ ამოიყვანა კალათიდან გრძელ-ფეხსა და გრძელ-ნასკარტა ცისფერი ყანჩა.





— ღმერთო! — აღტაცებით წამოიძახა პატარა ჯენში. — ტონი! ჩემი საყვარელი ტონი! — აღელვებულმა ბაეშმა იმავ წამს დაიჩინქა თავისი ძევლი მეგობრის გეერლით, სიყვარულით მოპხევა მის წერილ კისერს ორივე ხელი და გატაცებით დაუწყო მას კოცნა.

— როგორ გვინია, ჩემო პატარა, ყანჩამაც გიცნო? — ლიმილით ჰეკითხა ბაეშს ლანიემ.

— რასაკვირველია, მიცნო! — სწრაფათ მიუგო ბაეშმა. — ტონის მე როგორ დავავიწყდებოდი? რომ დაეიმალო და დაუუძახო — მაშინვე მომძებნის და მოირბენს ჩემთან.

— ჯენ, ჩემო ჯენ, აბა დაიმალე და დაუძახე! — შეევეღრა ჯენს პატარა მეო.

ლანიემ აიყვანა ხელში ცისფერი ყანჩა და ოთახის შორეულ კუნკულში დასვა, სავარძელს უკან; ჯენი-კი მეორე სავარძელს ამოეფარა, ჩიტივით დაიწრიაპინა და მერე მხიარულათ დაუძახა: „ტონი! ტონი! ტონი!“-ო.

ყველა პატარა ქალების, მასპინძლების და სტუმრების აღტაცებას, სიცილს და კისკასს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ დაინახეს, რომ ცისფერშა ყანჩამ სასაცილოთ გაშალა თავისი ფრთები, ყანყალით გაიქცა იქითკენ, საიდანაც ჯენის ხმა ისმოდა, მოძებნა თავისი პატარა მეგობარი და სიყვარულით მიადგა ნისკარტი ლოყაზე.

ბაეშები მხიარულათ შემოეხეირ ყანჩას, დაუწყეს მას მოფერება, ხეენა და კოცნა, და მანამდის არ მოეშენ, სანამ ისევ მშენი. ერთ შორთულმა ნაძვის ხემ არ მიიქცია მათი ყურადღება.

ლანიე სადღაც წავიდა. გაიარა ორმა საათმა.

— რატომ იგვიანებენ? — აღელვებით შეეკითხა რამდენჯერმე ქალბატონი ლანიე ჭრტურ მენარს. — მოხუცი ჩეტუინდი ღიდი ხანია კიტეც უნდა მოსულიყო. ვაი თუ ჩემმა ქმარმა ვერ იპოვა სადგურზე! ან ვაი თუ შეელი-შეილი არ მოეწონოს! მაგრამ ჯენი ისე უყვარდა, რომ მისი შეილიც გავრცელებით უნდა შეუყვარდეს!

— ჯენი ისეთი მშენიერებაა, რომ ყველას პირველ წარიღლაც შეაყვარებს თავს! მაგის ჯაერი ნუ გექნებათ! — ანუგრძებდა ახალგაზდა ქალს არტური.

ამ დროს ოთახში მსახურა შემოვიდა და ქალბატონს ვერცხლის საინით პატარა ბარათი მოაჩინა.

— მოსულან! — ალექსანდრი წამოიძახა ქალმა. — ჩემ ქმარს კაბინეტში შეუყვანია... ბავშიც იქ უნდა წავიყვანო!

რამდენიმე წამს შემდეგ ქალბატონი ლანიე და პატარა ჯენი დიდ კაბინეტში შევიდენ; შუაგულ ოთახში უძრავათ იდგა მაღალი, გამხდარი მოხუცი კაცი, რომელსაც საშინელი მოწყენილი, დალერემილი სახე და შავი, მეტყველი თვალები ჰქონდა. ქალბატონი ლანიე ცოტა შეკრთა, ის რომ დაინახა, მაგრამ მოხუცმა თვითონ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი მისკენ და თავაზიანათ უთხრა:

— თქვენ იქნება დაგავიწყდით, ქალბატონო, მაგრამ მე ძალიან კარგათ მახსოვეს, რომ ამ რამდენიმე წლის წინეთ თქვენ ჩემ ქალთან იყვით სტუმრათ, ჩენ მამულში.

— არა, მე თქვენ არ დამეიწყებიხართ, მაგრამ არ ვფიქრობდი, თუ თქვენც გემახსოვრებოდათ ჯენის მეგობრები... — მიუკო ქალბატონმა ლანიემ.

— მახსოვეს, ძალიან კარგათ მახსოვეს მისი მეგობრები... — წყნარათ გაიმეორა მოხუცმა და თან თვალი ვერ მოეშორებინა მშენიერი პატარა ქალისათვის, რომელიც კრძალვით მიჰყეროდა ქალბატონ ლანიეს და მორიდებით მიჩერებოდა მაღალ, დალერემილ უცხო კაცს.

— ეს თქვენი შეილი-შეილი, ჯენ ჩერჩილია! — თქვა ქალბატონმა ლანიემ და ბავში წინ წამოსწია.

— ჯენის შეილი! — დაბალი ხმით წაილაპარაკა მოხუცმა და ხმა ჩაუწყდა. — ნამდეილი მისი სურათია!... — მეტი ალექსანდრესაგან ის დაბარბაცდა, მოწყვეტით დაშვა იქევ მდგომ სავარძელზე, ორივე ხელი სტაცა გაკვირვებულ ბავშს და თვალ-ცრემლიანმა სიყვარულით

ହୀନ୍ଦୁରା ଓ ଗୁଣମ୍ଭି. ଲାନ୍ଧି ତା ମିଳି ପ୍ରାଣି ମାନ୍ଦିନ୍ଦ୍ର ଗ୍ରେନଡର୍ ଓତା-
କୋରନ୍ ଏବଂ ଦାବ୍ଦୁଆ ଶ୍ରେଷ୍ଠ-ଶ୍ରେଷ୍ଠ ମାର୍କଟର ଦାର୍ଶନ୍ଦ୍ର ଲାଇସେନ୍ସ ଫାର୍ମର୍ସର୍କିରଣିକାରୀ.



ამ დღეს შემდეგ მოხუც ჩეტუინდს ჯენის მეტი ქვეყანაზე ალა-
რა ახსოება რა. ჯენის დედის სიკედილზე გამოძიება ისევ ისე სწარ-
მოებდა; როგორც იქნა, მიაგრძეს ექიმ დებროს, რომელსაც კარგათ
ახსოება ავათმყოფი ქალი, რომელსაც ის ეუზენისას ექიმობდა, მისი
პატარა მშვენიერი ქალი და გრძელ-ფეხა ცისფერი უარჩაც-ია. გამო-
ძებნეს ის პირებიც, რომლებიც შემთხვევით ახალგაზდა ქალის და-
მარხეაზე დასწრებოდენ და რომლებსაც მისი საფლავის ჩეენება შე-
ეძლოთ.. ბარებისა და ნიერების-კი ვერა გაიგეს-რა, მათი ასავალ-
დასავალი არსად ჩნდა; გადარჩენილიყო მხოლოდ ბრილიანტის კუნ-
წულიანი პატარა ოქროს სათი, რომელიც ჰეშუმ იყიდა.

ରୋଗାରୁ-ପ୍ରକାଶ ହେଉଥିଲମ୍ବା କ୍ଷେତ୍ରରେ ନାହା, ମାତ୍ରିନ୍ଦ୍ରିୟ ଶ୍ଵେତଳାଙ୍ଗ ମାତ୍ର ଫୁ-

ლით გატენილი ქისა, მაგრამ პეშუმ დიდი უარი თქვა აზროვნებისა უკარჩე და ფული მარტო იმდენი აიღო, რამდენაც თითონ და-
ეხარჯა ჯენის ერთაობის გამოძიებაზე. სამაგიეროთ ჩეტუინდმა მას
საუცხოეო დიდი, ოქროს სათი აჩუქა, რომელზედაც ეს სიტყვები
ამოაჭრევინა: „დიდათ პატავუმულ მეგობარს რიჩარდ ჩეტუინდისა-
გან“. ამ დროს პეშუს ოჯახობა მარის საქორწილოთ ემზადებოდა;
ჯვარის წერის დღეს მარის ჯენისაგან მშევნიერი ვერცხლეული მო-
უფიდა. პეშუს გვარში ეს ვერცხლეული მას აქეთ საოჯახო სამკაუ-
ლათ ითვლებოდა.

ჩეტუინდი ხშირი სტუმარი გახდა „კეთილი ბავშების“ ქუჩაზე;
ყველაზე ხუირათ მისი ეტლი დიანას პატარა სახლის წინ ჩერდებო-
და; მოხუცი ძალიან დაუახლოედა ამაყ არისტოკრატებს და აღტა-
ცებით ისმენდა, როცა ის და ჯენი ერთათ მღეროდენ ხოლმე.
ჩეტუინდი ამბობდა, არაფერს არ დაეზოგავ, ოლონდ-კი ჯენის მშე-
ნიერი ხმა გაეავითაროთ და ყოველ დღე ეხვეწებოდა დიანას, ჩენ-
თან გადმოსახლდით და ჩემი შეილი-შეილის აღზრდაზე დამეხმარე-
თო.

ბაბუის სიმღიდრის და სიუხვის წყალიობით პატარა ჯენი ყველა
თავი მეგობრებისთვის ნამდევილ ბედნიერების მამასწავებელ ფერიათ
გარდაიქცა; პეპსისთვის ნამდევილი აღზომა გათენდა იმ დღეს, რა
დღესაც მის ოთახში ჯენი შემოცერიალდა და ხეჭუჭებით აესილ
მაგიდაზე გრძელი ქალალდი დაუდეა; ქალალდზე ეწერა, რომ დღეი-
და მოდესტა ფერრის (პეპსის ნათლობის სახელი ეს იყო) ქალაქს
გარეთ სახლი და დიდი ბალი კუთხენისო. მთელ თავის სისუცხლე-
ში პეპსი მხოლოთ ერთ რასმეზე ოცნებობდა, მას ერთათ ერთი
სურველი ჰქონდა, რომ სადმე ქალაქს გარეთ ეცხოვრა და ბუნების
მშევნიერებით დამტკბარიყო... ახლა მას ეს სურველი აუხდა; მეტი
სიხარულით პეპსიმ ცრემლები ედარ შეიკავა, პატარა ბავშეით
ატირდა და გამოაცხადა, მე პასიანსით დიდი ხანია გავიგე, რომ ლე-



დი ჯენი ყველა თავის მეგობრებს ბედის ვარსკვლავათ გაუხდებოდა.

მოხუცი ფერარსაც ამნაიროვე ბედნიერება მოელოდა. როცა ჯენმა ჰერთა, რა გსურს ყველაფერზე უფრო—უწინდელმა ცეკვის მსწავლებელმა გულზე ხელები დაიკრიფა, თვალები განაბა და აღტაცებული ღიმილით წარმოსოდეს:

„პარიზში საცხოვრებლათ მოწყობაო“

— რა მიხარია! — აღტაცებით წამოიძახა ჯენმა. — ამ დღეებში მე და ბაბუა პარიზში მიიდივართ... და, იმედია, თქეენც იქ წამოხეალთ!

მართლაც, ასე მოხდა. მოხუცი ჩეტუინდის დახმარებით ფერა-რი მშეენიერათ მოწყობი თავის საყვარელ სამშობლო ქალაქში.

ბაბუა — შეილი-შეილს არც მარგარიტა და მისი თაეშესაფარი დავიწყებიათ. რადგანაც მარგარიტა თავისთვის არას იღებდა, ყოველ შობა დღეს ჩეტუინდისაგან მას მოუკიდოდა ხოლმე დიდი შემოწირულება, რომლის წყალობითაც ის ბეჭრ სიამოენებას აჩვენებდა თაეშესაფარში მცხოვრებ თავის პატარა, საყვარელ ბავშებს.

პ III წელს შემდეგ.

3 აიარა ათმა წელიწადმა. ახლა ნიუ-ორლეანის ქუჩებზე ზამ-თრობით ხშირათ იქცევს ყველას ყურადღებას ძეირფასი ეტლი, რომლითაც ორი ქალი დასეირნობენ ხოლმე, ერთი ხნიერი და მეორე ახალგაზდა, ლამაზი და მხიარული; ესენი — დიანა ოტრევი და ლედი ჯენი არიან. როცა ეწლი თავშესაფარის საყდრის პირ-და-პირ აგებულ მშეენიერ მარმარილოს ძეგლს წინ გაუკლის ხოლ-მე — ორივე ქალი ჰატივისცემით თავს ძირს დახრიან; ეს ძეგლი — მარგარიტას ძეგლია და წარმოადგენს იმის შეგაეს, კეთილი სახის გამომეტყველებიან შუახნის ქალს, რომელსაც სიყვარულით მოუხვევია ხელი პატარა, ტიტველ ბევშისათვის. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც კეთილი მარგარიტა გარდაიცვალა და მაღლიერმა ნიუ-ორლეა-

նու մվերացման մաս մշտական մաս այլուր առաջի տապահագործ է նոր-
դա նոր, մի տապահագործ, համելու նախարա մվերացման մաս ման
տապահան ուղարկեց Շեշիրա մտյան տապահ սուսումն և սուսական-
դաց և ծեղնուցը են.

Լեզու չեն աելա դանունուլու, մուս սայմառ - արտուր մենա-
հու, արտուր մենահու, համելու մաս ման տառմերու վանու բնույթ ցհմել-
ույթ սուսուցի պահի ահսյա ։ Չեն համարնչերմ ոսու ծածուստան յի-
տատ սահլար ցարեց, ման կոչու դասարուլա տապահ սիցու և սա-
սուպահուտապ թուրուս; Քամտառմատ ու սուզուլույթու համարնիմ ույթ է
նոյն-ուրալուան արարեց, սամապ ծածուա մշենուցի սասակու ոսու,
լունու սասակու նոր և նոր. արտուր մենահու ուրալուան ցալմո-
սակու և լունու ոչաքօնի, հետունու և չեն տապահ սայմառ-
տո սույթա յիտատ սասուպահուտ արարեցն եռում դրու, հուսա- կո
յիտատ Մեսուրեցնան.

Քյունու գու և, մասուլուն, ութինուլույուտ աղար ցարմատ սույթա
գուլա տապահ և մայրուլու նունու և նոյնու ցասապուդատ. աելա մաս
Մեծուցի այս տոտուն սակուն ոչույթ և պամուցուցի և սեցու ելույտ
ցիցունու ցասապուդատ. գուլա մունու սույթա գու և մույս հետունու
սակուն և սյուլու և ցամինուցու հեց.. ու մալուն ցայսի և գա-
մինցալա մ սույնասինու դրու, մաշին մանու սութինուլույուտ մեսա-
հուլու և տապահ Մեսուրեցնա, և աղթապեցնա մունու
եռում, հուսա չեն մատ ցիցույթ և մահու ծայնուցի ցտամանան.

մաշին սույթա սույնու չեն քյունուստան սուսակու սույնան. յա-
լայս ցարեց, տապահ նախարա, լութի սակուն քյունու սուլ ցամուտուլ-
ու և ցամուլուպահու. աելա ու սասուպահուտ քյունու ցասապուդատ վմոն-
ու և նամ արմուցի և ծեցի ուղուսապ ույցի. լեզու չեն սույթա
վելութիւն սութինու մաս սահլար-ցարեցուն սասուպահուտ և
սայմառ մասալուցմաս.

— հոգուր ցամուդուրու! — եմուրատ աղթապեցնա ցոյնուցի եռու-
մի քյունու տապահ սասուպահու լեզու չեն. — աելա, ու մունունում, ուսու



კი შემიძლია, რომ ფორტეპიანო ეყიდო... რომ, როცა თქვენი მასიამოქოთ,

მშენიერი, წყნარი და თბილი საღამო იყო. ჩეტუინდის სასახლის ბაღში ახალგაზღობა შეყრილიყო და ყმაწეილი კაცები და ქალები გატაცებით ბურთაობდენ. სასახლის წინ, განიერ ოთხ-კუთხ აიგანზე ქალბატონი დინა იჯდა და ხელში წიგნი ეკავა, მაგრამ ის არ ჰქითხულობდა, ის კეთილი ღიმილით აღევნებდა თვალს ორ ახალგაზდას, ლამაზ ყმაწეილ კაცს და შეენიერ ქალიშვილს, რომ ლებიც ერთმანეთს არ ცილდებოდენ და, როცა თამაში შეწყდებოდა ხოლმე, მხიარული და ბეღნიერი ღიმილით აღევნებდენ თვალს გრძელ ფეხს და გრძელ ნისკარტა ცისფერ ყანჩას; ყანჩა თაემომწოდეთ დასეირნობდა მათ წინ, ხან-და-ხან-კი აწევდა ზევით ცალ-ფეხს და ისე გაქვავდებოდა მეორეზე, რომ ადამიანს ეკონებოდა, ნამდვილათ მარმარილოდან არის გამოქანდაკებულიო.

ამ ცისფერ ყანჩასთან ახალგაზდა და ბეღნიერ საქმრო-საცოლეს მთელი წარსული ცხოვრება, უკელა საუკეთესო მოგონებები არის დაკავშირებული.

ელ. წერეთელი.

დასასრული



ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად.

(ისტორიული ამბავი)



ს ამბავი მოხდა სამასის წლის წინედ, მე-
თექვემჯრე საუკუნის დამლევში. ამ დროს
საქართველო აღარ შეადგენდა ერთეულს
და ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც იყო
იყი თამარ მეფისა და დავით აღმაშენებე-
ლის დროსა. წინააღმდეგ ამისა, იყი დაყო-
ფილი იყო ჩერ ნაწილად: სამს სამეფოდ
და ხუთ დამოუკიდებელ სამთავროდ: ყო-
ველს ნაწილს თავისი მემკვიდრეობითი
მპრძანებელი ჰყავდა, და განცალკევებული
სკოურობდა. სამწუხაროდ, ამ მპრძანებ-
ლებს ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში
შინაური ომი და ამის გამო ძლიერ უძლურ-
დებოდა ჩერი ქვეყანა, გაჩერებების სათელაერი ჰედებოდა.

ქართლის მეფემ სეიმონმა მოიწადინა შეერთება მთელის სა-
ქართველოისა, გაილაშქრა დასაელეთისაკენ, გადალახა სურამის მთა
და დაიპყრო ჯერ რაჭა, მეჩე იმერეთი. იმერეთის მეფე როსტომი
გაიქცა თავისი ჯარით თავისს სიმამრთან, სამეგრელოს მთავარ და-
დიანთან, და სთხოვა შემწეობა. სეიმონიც ჯარით უკან დაედევნა
როსტომსა. ქართლის ძლევა მოსილს ჯარს თანა ჰქონდა ევებერთე-



ეროვნული
მუზეუმი

ლა ზარბაზნები და საომრად მშექნიერად იყო აღჭურების. მთავარი
დადიანს იმედი არა ჰქონდა გამარჯვებისა და აპიტომ მოიწადინა ზა-
ვი ჩამოეგდო. მან გამოუგზავნა მეფეს მოციქული და შემოუთვალა:
„დიდებულ მეფევ, გთხოვ პატივი და დო და შეიძიგო სიძე ჩემი
რასტომ და მისც მას სარჩი მამული და იყო იგი დამონებულ
და მორჩილი ბრძანებისა თქვენისა, და მეც ვიქნები დამორჩილე-
ბულ, როგორც ერთი თავადი შენი ერთკული და მონა, მორჩილი
ბრძანებისა თქვენისა, და ეს ერთობით დაიცვიდა საქართველო,
ვითარცა პირველ დაეით აღმაშენებელმა“.

მეფე სეიმონ იყო მეტად გამშედედავი და უშიშარი ვეომარი; თავს
არას დროს არ ზოგავდა ქვეყნისათვის, უკარდა ხალხი და ფხნი
ლათ ზრუნავდა მისს კეთილ-დღეობაზე. მაგრამ ხუსტური სჭირდა
და ხან-და-ხან იშისთანა რასმე ჩაიდენდა, რაც არ შეეფერებოდა მის
ჰერია და ხასიათსა. სამწუხაროდ, ამ დროსაც მეფეს ეს ხუსტური
დაემართა, და გაჩალხული საქმე უკულმა დატრიალდა. იგი დადიანის
თავისნაც სიამაყით მოვპყრია, არავის რიევა არ გაიგონა, გაჯიუტდა,
უარი შეუთვალა და მოითხოვა სრული დამორჩილება უპარობოდ.
ეს უარი იწყინეს და უმართებულოდ ჩასთვალეს არა მარტო მეგრე-
ლებმა და იმერლებმა, არამედ ქართველებმაცა. პირველნი გაცეცხლ-
დნენ და სიმამაცით აივსენ, მეორენი შეძრწუნდნენ და ომის უნარ
თითქმის დაპკარებეს.

დადიანმა მარჯვედ ისარგებლა ამ გარემოებით. იგი თავისი ჯა-
რიჯ სეიმონ მეფეს მოულოდნელად თავს დაესხა სისხამ დროაზ,
ბანდისას და ისიც როგორ ადგილაში ჭაობიანში, სადაც ცხენოსან-
ჯარის და ზარბაზნების მოჩარება უხერხული იყო. ამასთან ქართ
ლელებს არც გული ერჯოდათ ომისათვის, რომელიც საჭიროდ
ასარ მიაჩნდათ მას უკან, რაც დადიანმა მორჩილება შემოუთვალა
სეიმონ მეფესა. ამისთანა გარემოებაში მყოფს ჯარს დამარცხება ვერ
ასცდებოდა, და ქართლელებიც დამარცხდნენ. დამარცხდნენ იმდე-
ნად, რომ ყველა მათი ზარბაზნები მეგრელებს ჩაუვარდათ ხელში.



როგორც მეტად გამოცდილმა შეომარმა, სეიმონ მეფეებ აღია-
ნადე შეიტყო, რამ იმს წაგებდა, და რათა ტყეედ არ ჩავარდნოდა
ხელში მოწინააღმდევეთ, უცებ პირი უკანა ჰქმნა და თავისი ბედაუ-
რით მარტოდ-მარტო გამოსწია ჩუმად აღმისავლეთისაკენა. მოდიო-
და საოცარის სისწრაფითა. გამოიარა ჯერ სამეგრელო, მერმე ქვემო
იმერეთი, ამოვიდა ზემო იმერეთში, გადმოლახა სურაშის მთა, გამო-
იარა შემო ქართლი და როცა მოუახლოვდა თბილისს, ლამემ უსწრო
სოფელს კავთისხევში. თანაც საშინელს დალლილობასა გრძნობდა.
მეტი ლონე არ იყო, უნდა აქ სადმე დაესევნა, კავთისხევში სცხოვ-
რობდნენ თავადებიც, აზნაურებიც და გლეხებიც. პირველებს მეუე
მოერიდა და ერთის ღარიბის გლეხის ქოხს მიადგა ცხენდაცხენ.

სახლის პატრიონები უკვე შელაგებულნი იყვნენ შიგნით. „ოჯა-
ხიშეილო, ერთი გარედ გამოიხედე“, შესძახა სტუმარმა. იმავ წამს
ქოხის კარები გაალო ხნიერმა დიასახლისმა და ანთებული კვარით
ხელში გარედ გამოვიდა, თან მას გამოჰყეა პატარა ცქიტი ბიჭი. ამათ
მეუე ვერ იცნეს, რაღვანაც. არსად არ ენახათ. — ვინა ბრძანდებით? შე-
ეკითხა დიასახლისი: „მე ვარ ქართველი კეთილშობილი, დასავლე-
თიდან მოედივარ, დაეიდალე, დამიღამდა და ცოტა ხნიბით მისტუმ-
რეთო. — „მი ბრძანდით, თქეენი ჭირიმე, ტკბილად უთხრა დიასახლის-
მა; მართალია, თქეენი საკადრისი არა გეაბადია. რა; მაგრამ არას-კი
დაეიშურებთ, რაც ღმერთს მოუცია. სტუმარი გადმოხტა ცხენიდან, რო-
მელიც, დედის ბრძანებით, პატარა ბაჭმა ჩამოართვა, და იქვე ტარე-
ბა დააწყებინა, რაუგანაც ბედაური ოფლში ცურავდა. დიასახლისი
კვარით შეუძლეა უცნაურს სტუმარს დაბალ ქახში. სტუმარი თავ-
დალუნეით შეჰყვა შიგნით და ქართველურად წარმოსონება: „აქა ღვთის
წყალობა“. „ღმერთმა ნურც თქეენ მოვაკლოს თავისი უხეი წყალო-
ბა, სამაგიერო უთხრა დიასახლისმა. დაბრძანდით, თქეენი ჭირიმე,
თავაზიანათ მიმართა დედაკაცმა“. სტუმარი დაჯდა დაბალს ტახტზე,
რომელიც დაფენილი იყო სუთა კილობით. დიასახლისმა მაშინათ-



ვე ხელი დაბანა და მოართვა: ყველი, პური, მწეანილი და გული ხელადა ღვინო. სტუმარს ძლიერ მოშივნიდა და ისე გულიანად შეექცა ამ ღარიბს ვახშამსა, რომ არც ერთს მდიდარს ვახშამს მისთვის ამოდენა სიამოენება არ გამოუტარებია. ამ დროს ქოხში შემოვიდა პატარა ბიჭი და სტუმარს მოახსენა: ცხენის ფიქრი ნუ გაქვთ, მე ის ჯერ კარგად ვატარე და ახლა ქერი მივეცი საჭმელად.—გაგზარდა ღმერთმა და შენი სიყეთეც გადაშესდევინოსო, უთხრა სტუმარმა.

დასახლისმა ჰყითხა: დასაელეთიდან/ მობძანდები, იქნება ლაშ-ქრობის ამბავი მოგეხსენებოდეს, მიბძანე, შენი ჭირიმე, რა იქმნა ჩენი ძეირფასი მეფე, ხომ ცოცხალი ბრძანდება, ომიდან ხომ მშეიღობით გამოვიდაო, და სხვანი. სტუმარმა უპასუხა:— სამწუხაროდ, მე მეფისა სრულიად არაფერი ვიციო. შემდეგ ჰყითხა ამბავი თავისი ქჩისა და ვაჭისა და იმათი ნიშნებიც დაუსახელა. სტუმარმა ახლაც იკვეე უპასუხა: არც ის ვიცი, თუ რა შეემთხეა მეფის ლაშქარსან.

დასახლისი მეტად მწუხარე შეიქმნა, ამოუჯდა გული და მდუღარე ცრემლები გადმოსცეიდა თვალებიდან. სტიროდა უფრო მეფეზე, ქვეყნის პატრიანზე, ვიღრე თავისს ქმარ-შეილზე და იტყოდა: „ნეტავი უფალმა წყალობა მოიღოს ჩენს მეუეზე, გვალირსოს მისი მშეიღობით მოსელა და სხვანი ყველანი სპანი მისნი ჭირისა მისისა სანაცელო იყოსო“.

ახეთი გულწრფელი და გულუბრყეილი სიყეარული მეფისაღმი სტუმრის ნაღვლიანს გულს სწორედ მალამოდ დაედო და მოაუინა მასში იდუმალი სიხარული.

სტუმარი წასასელელად ადგა. დასახლისმა ბეერი სთხოეა: ამაღლამ ჩეენთან მოისეენეთ და ხეალ წაბძანდიო; მავრამ უცრაურმა სტუმარმა უპასუხა: თბილისში ძლიერ საჩქარო საქმე მაქვს, ხეალ დილით უთუოთ იქ უნდა გაეჩნდე, და ერთს საათსაც ველარ დაეიგეინებ აქარ. გამოესალმა, მაღლობა გადაუხადა, შეჯდა თავისს ბედაურზე და სწრაფად გასწია ქვევით, აღმოსავლეთისაკენ.

დიასახლისს ეგონა, უბრალო აზნაურშეილს გაეუმასპინძლდნო; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მოტყუფებული იყო, და ისეთნაირად, რომ ღმერთმა ყველას არგუნოს წილად ამისთანა მოტყუფება.

გაირა ცოტა ხანმა და ამ ქოხის პატრიონები—მამა-შეილნი— მალე დაბრუნდნენ მშეიღობით და უენებელად ლაშქრიდგან თაეისს საყვარელს ქოხში. დიასახლისმა დაწერილებით უამბო იმ უკრაუ. რის ტუმრის წვევა და დაუსახელა ყველა მისი ნიშნები, რამაც ძლიერ გააოცა ახალ-მოსულნი მეომარნი. გააოცა იმის გამო, რომ ნიშნები მეფისანი იყო, მაგრამ, ფიქრობდნენ, მეფეს რა მოიყენდა ამ ჩეენს ლატას ქოხშიაო. ერთ დიდ გამოცანად გადაეჭუათ ეს ამ-ბაეი. მაგრამ მალე სანეტაროდ აიხსნა ეს გამოცანა.

მშეენიერი კეირა დღე იდა. კაეთისხევის მცხოვრებნი სულ გარედ იყვენ და მზის სხივებით სტკებოდნენ ზოგი ბანებზე და ზოგიც კარმილამოზე. უცებ აღმოსაელეთიდან შარა-გზით შემოვიდა სოფელში შნოიანი და ლამაზი ეტლი, დატვირთული სხვა-და სხვა ძეირ-ფასი ნივთებითა. ეტლს წინ მოუძღვდა კარგად ჩატული ცხენო-სანი.

„სადა სდგას გლეხი ქვლივდე?“ ჰკითხა ცხენოსანმა წინ დახვედრილს ხალხსა. „აი აგრ იმ ქოხშია“, ანიშნეს გლეხებმა. ცხენოსანი და ეტლი მალე გაჩნდნენ ქოხ-ს წინ და თაეს წააღნენ მთელს სახლობას, რომელიც გარედ ისხდა. „ოქვენა ხართ ქვლივიძიანი?“ ჰკითხა ცხენოსანმა. ყველანი ზეზე წამოიშალნენ და უფროსშია მოახსენა: „ჩეენ გახლავართ, შენი ჭირიმე“. ყველა შეკრთა და შეშინდა, და არც გასაკეირელია, რადგანაც გლეხის ცხოვრებაში არა ჩვეულებრიეს მოვლენას თითქვის ყოველთვის მწუხარება მოჰქონდა და მოაქეს.


ცხენოსანქა ხმა მაღლა წარმოსთქვა: ჩეენქა მოწყალე მეფემ სეიმონმა მადლობა შემოგითვალათ კარგი ქართველური მასპინძლობისათვის და სამავისეროდ გამოგიგზავნათ საუკეთესო საფენი, ავეჯეუ-



ლობა, ტანისამოსი, ჭურჭელი, იარაღი და სხვ. და, განვითარებული
გიბოძათ წყალობის წერილი ანუ სიგელი, ამ სიგელით თქვენ გენი-
ჭებათ აზნაურობის ხარისხი, გეძლევათ მამულ-დედული და ყმები,
დასახლებული ამ მამულზე. და გადასცა სიგელი ჯჯახის უფროსსა.
საწყალი გლეხის სახლობა სულ დაიბნა მეტი მეტის სიხარული-
საგან და არ იცოდა, როგორ გადაეხადნა მაღლობა.

ამ გაბეღნიერებული გლეხების ჩამომავალნი ახლაც სცხოვრო-
ბენ სოფელს კავთისხევში და იწოდებიან აზნაურ—ქვლიერებად.

თავთა გოგებაშვილი.



კალედონიაში წათირობა.



როხელ კალედონის მეფემ, ოინემ შესწირა ღმერთებს სამადლობელი მსხვერპლი. თვითოვეულ ღმერთის საკურთხეველზე იქმეოდა მიწის ის ნაყოფი, რომლის მფარველათ ქვეყნათ მოვლენილი იყო ესა თუ ის ღმერთი.

დემეტრას, ბახუსის, ათინას და სხვა ღმერთების საკურთხეველები უხვათ იყო შემკული ყოველ გვარი მიწის ნაყოფიერებით, ღვინით, ზეთისხილით და ათასი სხვა ხილეულობით. დარჩა უშსხვერპლოთ მხოლოდ ერთათ ერთი ქალ-ღმერთის არტემიდას საკურთხეველი. არტემიდა ამგვარი უჰ:ტივ-ცემულობით მეტათ შეურაცხოფილი დარჩა. ქალ-ღმერთა ძრიგელ განრისხდა და ოინეის სამაგიეროს გადასახდელათ კალედონის სამეფოს გარეული, მეტათ საშინელი, ღორი მოუკვინა. მთელი სამეფო ძრწოდა გარეული ღორის შიშით. უზარმაზარი ხარისისდენა ტანი, ცეცხლის მფრქვევი ჩასისხლებული თვალები, ისარიეით გრძელი და მაგარი ჯავარი და ყურებამდის მოღრებული ეშეები გარეულ ღორის მეტათ საშიშათ ხდილენ. ღორის ერთი ამოსუნთქვით კალედონის მინდვრებზე აწვანებული ბალახი ერთიანათ იბუგებოდა, ხის მაღალ ტოტებზე ფოთლები ხმებოდა და ძირს სცვიოდა.

კალედონის მეტათ შეურაცხოფილი დარჩა კალ-ღმერთა ძრიგელ განრისხდა და ოინეის სამაგიეროს გადასახდელათ კალედონის სამეფოს გარეული, მეტათ საშინელი, ღორი მოუკვინა. მთელი სამეფო ძრწოდა გარეული ღორის შიშით. უზარმაზარი ხარისისდენა ტანი, ცეცხლის მფრქვევი ჩასისხლებული თვალები, ისარიეით გრძელი და მაგარი ჯავარი და ყურებამდის მოღრებული ეშეები გარეულ ღორის მეტათ საშიშათ ხდილენ. ღორის ერთი ამოსუნთქვით კალედონის მინდვრებზე აწვანებული ბალახი ერთიანათ იბუგებოდა, ხის მაღალ ტოტებზე ფოთლები ხმებოდა და ძირს სცვიოდა.



გარდა ამისა გარეული ღორი დიდათ აზარალებდა მთელ კალეჭინიშვილ სამეფოს. ჯეჯილები, ყანები, ბალები, ვენახები ერთიანათ აობრებული იყო ამ საშინელი მხეცასაგან. ერთის ეშვის მოქნევით გარეული ღორი ძირიან ფესვიანათ თხრიდა მიწიდან ზეთის-ხილის ხეებს და სხვა სასარგებლო ბალის ხეხილებს. კალედონიის მწყემსები გარეული ღორის შიშით იძულებული შეიქმნენ დაეტოვებიათ საძო. გარი მინდვრები და თავშესაფარი ეძებნათ ქალაქების მაგარ კედლებს შიგნით.

მთელი სამეფოს მკვიდრი თავის აელა-დიდებას უზრუნველათ ვერა თვლიდა, არ იკოდა ხვალინდელი დღე რას მოუტანდა. ამ საშინელ მდგომარეობიდან თავის დასალწევათ ონეის მემკვიდრემ მელე. აგრმა მოიწვია კალედონიაში მთელი ელადის რჩეული და მამაცი მონადირეები სამეფოს საშიშარ მტერთან გასაღაშქრებლათ. ელადის სხვა და სხვა კუთხიდან კალედონიაში თავი მოიყარეს რჩეულმა მონადირეებმა. სხვა მონადირეებთა შორის მელეაგრს არყადიდან ესტუმრა მზით-უნახავი, ლამაზთა ულამაზესი ქალწული ქალი ატ-ლანტაკ.

ცხრა დღის განმაელობაში მელეაგრი დიდის გულუხეობით უმასპინძლდებოდა სტუმრებს, ხოლო მეათე დღეს-კი მთელი შეიარაღებული გუნდი სტუმარ-მასპინძლებისა გაელაშქრა სამეფოს მტერზე. მონადირეები მიეიღენ კალედონიის ერთ დაბურულ ტყეში, საცაჯერ კიდევ თვალ-უწვდენელ ხის ძირზე მკვიდრთა ცულს არ გაესმაურებია. მონადირეებმა მოხერხებულ ადგილებზე დააგეს ხაფანები და შემდეგ შეუზღენ გზა-წერილების და ტყის სხვა-და-სხვა ბილიკების გამატებას. მონადირეები მოუთმენლათ მოელოდენ საშიშარი მხეცის თავშესაფარიდან გამოგდებას და სასიკვდილ-სასიკოცხლო ომის მასთან გამართვას. სულ მოკლე ხნის განმაელობაში მონადირეები მიადგენ ისრით და ლერწმის ხეებით დაფარულ მდაბლობს, საიდანაც უეცრივ ელვასავით გამოიჭრა გარეული ღორი. მონადირეებმა ხმა მისცეს საშიშარ მხეცა და ერთბაშათ დაუმიზნეს



თავისი ბასრი მშეიღდ-ისრები. მხეცი სრულიადაც არ შედრება მშეიღდ-ისრებით მის განვითარების და თევისი ბასრი ეშეებით ანა-კუნტბლა თავდაციწყებით მიმდევარ ძალლებს. მონადირეებმა ამ დროს დაუშინეს მხეცის ტყვიასავით მშეიღდ-ისრები, მაგრამ ვერც ერთ-მა მონადირისაგან ნატყორცნმა მშეიღ-ისარმა ვერა აენო-რა ღო-რის მავარი ჯავრით შემოსილ ტყავს. ისინი მაინც არ ეშეებო-დენ გარეულ ღორს. მონადირეების თავგასულობამ მხეცი მეტათ გაათორა და გააბრაზა, იყი უეცრივ შემოტრიალდა და ტყვიასავით მიიჭრა მონადირეებთან. სამი მათგანი თვალის დახამხამებაზე შეუბრალებლათ განგმირა და ის იყო მეოთხეც უნდა ემსხვერპ-ლა, რომ ამ უკანასკნელს თავი არ შეეფარებია მახლობელ მუხის ტოტებზე.

ამ საშინელ ბრძოლის ადგილას მოგროვდენ დანარჩენი მონა-დირეებიც და მათ შორის ქალწული ატლანტაც. მონადირეები თავ-დაციწყებით ებრძოდენ მთლათ გამხეცებულ გარეულ ღორს, მაგრამ მათი მშეიღდ ისრები ვერას აკლებდენ კალედონის გამძინვარებულ მტერს. გარეული ღორი თავისი მხრით ბასრი ეშეებით ჰკაფავდა ელადის მონადირეთა რჩეულ რაზმს; გმინეა, ვაება, წუხილი და თავვამოდებითი განწირულება ერთი მეორესთან შეერთებული ბრძოლის ველს მეტათ საზარელ სურათს ჰუნდა. ამ დროს ქალწულმა ატლანტამ მოიმარჯვა მშეიღდ ისარი და დაუმიზნა გავხე-ცებულ მტერს. ატლანტას მიერ მარჯვეთ ნატყორცნმა ისარმა უუ-რის მახლობლათ დასჭრა გამხეცებული მტერი. ეს იყო ღორის პირ-ველი ჭრილობა, საიდანაც სისხლი ნაკაღულებრ გადმოსჩეფდა და ასევებდა ღორის გამაკრებულ ჯაგარს.

ღორის ჭრილობა უველაზე უწინ მელეაგრძა შენიშნა და სა-ჯარით გამოუტხადა ატლანტას: „ქალწულო, გამარჯვება შენ უნდა გეკუთხოდესო!“

ელადის გამოჩენილი მონადირეები სირცეშილისაგან იწვოვენ,



რომ გამარჯვების პირველობა ამ შესანიშნავ და საზარელ უფლებებით სხვას ჩატარდა, და ისიც ქალს.

ამ სიტყვებთან ერთათ შელეაგრი გამოუდგა კვალ-და-კვალ დაჭ-რილ მტერს. მელეაგრის ბასრმა ისარმა გზა-და-გზათ კიდევ რამდენ-სამე ადგრლას დასჭრა სამეფოს დაუძინებელი მტერი და ერთი უკა-ნასკრელათ მძღვანელათ ნატყორცნი ისრის შემდევ მხეცი უსულოთ დაეშვა მიწაზე. მონადირეების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. უკე-ლანი გამარჯვებას ულოცავდენ მელეაგრს. კალედონის ტახტის მე-მკვიდრემ დაუყონებლივ გააძრო ტყავი გარეულ ღორის, მიართვა იგი ატლანტას და თან დასძინა: „ინებე, არყალის ქალწულო, ეს ჩემი კუთვნილი ნანადირევი. კეშარ-ტათ შენ ღირსი ხარ გაიზიარო ჩემი მტერზე გამარჯვება!“ ატლანტამ დიდის სიხარულით ჩამოართ-ვა მელეაგრს საჩუქარი.

მონადირეებს არ მოეწონათ მელეაგრის ამგვარი საქციელი. მელეაგრის დედით ორმა ბიძაშ, პლექსიპშა და ტოქსეიშ ბრაზ-მო-რეულათ შეჰქერეს ატლანტას: „დასტოე ნანადირევი, ნუ ითვი-სებ მას, რაც ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გიშველის არც შენი სიღამაზე და არც მელეაგრის გამოსარჩლებაო!“ მელეაგრმა ვერ მოითმინა ბიძების თავკასულობა და ორივენი იქვე ბასრი ხმლით სასიკედილოთ დასჭრა.

შეილის გამარჯვებით გახარებული მელეაგრის დედა ალფეი მი-დიოდა ტაძარში სამადლობელი მსხვერპლის შესაწირავათ. ამ ღროს ალფეის წინ ჩამოატარეს პლექსიპის და ტოქსეის გაცევებული გვა-მები. ძმების სიკვდილმა საცოდავ ალფეის თავ-ზარი დასცა. ალ-ფეის მწუხარება ერთი ორათ გაორკეცდა, როცა უამბეს, რომ პლექსიპი და ტოქსეი სასიკედილოთ დაჭრილ იქმნა მელეაგრის ბასრი ხმლით. ალფეის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი იტანჯებოდა როგორც დედა, იგი იტანჯებოდა როგორც უდრო-ოთ დაკარგული ძმების და. დიდის ტანჯეის შემდევ ალფეიმ გა-დასწუვიტა დაესაჯა ძმების მკვლელი შეილი მელეაგრი.

მელეავრის დაბადების დღეს ალფეის საწოლ ოთახში ჩამობდან-
დენ სამი ქალ-ღმერთი, რომელთაც გაჩალებულ ცეცხლში ჩააგდეს
მუკუზალი და დააღვინეს, ვიდრე მუგუზალი არ დაიწვის, ყმაწვი-
ლიც ცოცხალი დარჩესო. ალფეი ღმერთების სახლიდან გასვლისა-
თანავე სწრაფათ მიიჭრა ცეცხლთან, დაუყონებლივ მოაცალა კე-
რას მუგუზალი და შეინახა იგი უვნებელ ადგილას და ამით შეილი
სცეკილს გადაარჩინა, რომელიც ახალ დაბადებულ მელეავრს მო-
ლოდა მუგუზალის დაწვისათანავე.

ი ახლა ალფეიმ, როცა შეილის დასჯის სურეილი ალექსა, მოუფიქრებლათ წამოავლო ხელი დიდხნის შენახულ საბედისწერო
მუკუზალს და გამხეცებული მიიჭრა ცეცხლით გაჩალებულ კერას-
თან. დედის გული ორგვარი სიყვარულით იტანჯებოდა: შეილისა
და ძმების. ალფეიმ არ იცოდა, რომელი სიყვარული რომლისათვის



მთელი კალდონია დამწუხარა მელეაგრის სიკედილმა, დიდი და ჰატარა, ცეკვანი გულწრფელათ ნაკადულებრ აფრქვევდენ ცრემ-ლებს მელეაგრის საფლავზე და ირგვლივ რწყავდენ მდუმარე არე-მარეს. მოხუცი მამა, დები, ძმები ყოველ ცისმარე დღეს გულ-საკ-ლეათ ქვითინებდენ. გამელელ-გამომელელნი მწუხარებით შეჰყურებ-დენ საცოდავ მშობლების მწუხარებას და მათ ცხარე ცრემლებს თვის ცრემლებსაც უერთებდენ. საცოდავი გმირის დედამ ალფეიმ ახლა-კი იგრძნო თაეისი დანაშაული და თაეისივე ხელით განიგმირა ბასრი ხმლით ის გული, რომელიც ასე შეუბრალებლათ მოექცა ლეიძლ გმირ შეილს — მელეაგრს.

ა. უკმისთავები.

(ოვიდიუსიდან)



საშინელი სასჯელი მოღალატისა.

(ისტორიული ამბავი)

ეთექვსმეტე საუკუნის გასული იდგა. თბილისის სამხრეთით სოფლის ტაბახმელას მრდამოში საშინელი ომი იყო გაჩალებული. იბრძოდნენ ერთი მხრივ სპარსელები და ლეკები, მეორე მხრივ ქართველები. პარველ დღეს ომის სასწორმა გადმოიხარა ქართველებისაკენ, მეორე დღესც გამარჯევება უფრო ჩევნებისაკენ იყო; მაგრამ მესამე დღეს-კი ქართველი ჯარის ბედი უკუღმა დატრიალდა საზიზღარი ღალატის გამო.

წინა ღამეს ჩევნი ჯარიდგან მტრის ბანაკში გაიპარა ერთი უფროსთაგანი, გვარად ყორღანაშეიიღ, რომელსაც მოღალატეობით სწადდა მოეპოვებინა სპარსელებისაგან სიმდიდრე და კეთილ-დღეობა. ამ იუდამ სპარსელებს შეატყობინა ყოველივე გარემოება ქართველის ჯარისა, ასწავლა გზები, გამოუძღვა წინ და მესამე დღეს სისხამ დილაზე თაეს დაასხა იკინი ჩევნებს სრულიად მოულოდნელად. მაგრამ ქართველები მამაცურად დახვდნენ მტერსა, გმირულად გაუმკლავდნენ, შედრკეს და უკუ აქციეს. მეტადრე დიდი, ლომებრივი ვაჭაკრობა გამოიჩინა სეიმონ მეფემ, რომელიც მედგრად მისდევდა უკან მტერსა და ჰკაფავდა სპარსელებს მარჯენივ და მარცხნივ. საუბედუროდ, მეფე მეტად გაიტაცა რამა, დაიკიტყა ყოველი სიფრთხილე, ყველაზე წინ წავიდა ბრძოლაში და სპარსელების შუაში მოექცა. ამ დროს მოისმა სპარსელების მხრივ ყორღანაშეიიღის ხშა: „ეგ არის სეიმონ მეფე, შეიპარითო“. შემოეხეივნენ ჩევნს მეფეს სპარსელები,



სრულიად მოსწევიტეს ქართველს ჯარსა, სტაცეს ხელი უდიდესი მიზანი როდ გააქანეს. ქართველი ჯარი თაე-განწირულად გაექანა წინ, სცდილობდა როგორმე ეხსია მეფე, თეოთ მეფეც გაშეაგებული იბრ. ძოდა; მაგრამ ვერა გახდნენ-რა. სეიმონ მეფე ტყვედ იქნა წაყაჩილი სპარსელებისაგან.

ქართველი ჯარი, უსარდლოდ დარჩენილი, შეძრწუნდა, დაიბნია და წააგო იმი. სპარსელებმა დაიპყრეს მთელი ქართლი და თბილისში მეფედ დასვეს სეიმონ მეფის ძალა დაეთი, რომელმაც, სპარსელების სამებლად, უღალატა ქრისტესა, მიიღო თათრის სჯული, დაუმორჩილა თავისი ქვეყანა სპარსეთის შაჰსა, დააზო დიდი ხარჯი ხალხს მორის სასარგებლოდ, სპარსეთის ჯარი თავის დასაცველად დაანარჩუნა თბილისში და სახელიც-კი სპარსული დაირქეა, ესე იგი დაუთხანი.

სეიმონ მეფე ტყვედ იქმნა გაგზავნილი სპარსეთში შაჰთან, რომელმაც იგი დიდი პატივით მიიღო და აღუთქა მეფობის დაბრუნება, თუ ქრისტეზე უარი იტყოდა და მაჭვადს ირწმუნებდა, თუ ქართველობას უღალატებდა და სპარსელების მომზრე გახდებოდა. მაგრამ სეიმონ მეფემ ცივი უარი უთხრა, რის გამოც იგი იქნა ჩამული საპყრობილები.

მიზეზი ამ საყველთაო უბედურობისა – მოღალატე ყორლანა-შეილი, დიდად დაჯილდოვებული გაბატონებულის სპარსელებისაგან, ახხეინად ბრძანდებოდა და ფიქრი არაფრისა ჰქონდა, რადვანაც დარწმუნებული იყო, რომ ქართველები ვერაფერს გაუბედაედნენ სპარსელების შიშით. მაგრამ საზარლად მოსტყუედა.

მთელა ქართველობა გამსჭვალული იყო უკიდურესი შურის ძიებით ყორლანა-შეილისაღმი და მზად იყო სათაყეანო კერპად გაეხადნა ის, ეინც იმას შიაუენებდა იმდენადვე საშინელს სასჯელს, რამდენადც საშინელი იყო მისი დანაშაულობა მეფისა და ქვეყნის წინაშე.

ჩქარა აღმოჩნდა ეს სანატრელი შურის-მაძიებელიც. ეს იყო სა



ჩინო ბარათაშვილი, მძლავრი ვაჟკაცი, მხურევალე მამულიშვილი, ყოფილი წინამძღვალი ქართველის ჯარისა.

ერთხელ მანგლისის გზაზე შეხედნენ ერთმანეთს მოღალატე ყორლანაშვილი და საჩინო ბარათაშვილი. შეხედრა მოხდა თვალ-ჩაუწედენელის ხრამის პირად. ყორლანაშვილმა არხეინად მისცა სალამი ბარათაშვილსა ამ სახით: „საჩინოს გაუმარჯოსო“. — საჩინომ მიაძახა: ღმერთმა ყველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატე-ზედაო, გაექნა, ჰკრა ხელი და გადაჩეხა უფსკრულს ხრამჩე. ყორლანაშვილი რახა-რუხით წავიდა კლდიდან კლდეზე, დაიმტერა, და იმხერა და მანამ ძირს უწევდა, საშინელი ტანჯეით დალია თავისი ცოდვილი სული. —

მოელი საქართველო წაწუმენდას უნატრიდა ყორლანაშვილსა, და ადიდებდა მისს დამსჯელს საჩინო ბარათაშვილსა, რომელიც არ შეუშინდა სპარსელების რისხესა და ვაჟკაცურად აასრულა მამული-შეილის ეალი.

ეგდო უპატრონოდ ყორლანაშვილის მძღვრი რამდენსამე დღეს და გახრწნილებას მიეცა. მძარერის სუნმა მიაიზადა ამ ადგილისაკენ მთელი ხროვა დამშეულის მგლებისა. მაგრამ, ხალის თქმულებით, როცა ამ მშიერმა ნადირებმა დასუნეს და შეიტყეს, რომ ეს იყო ლეში მოღალატე ყორლანაშვილისა, ზიზლით აიგნენ, პირი არ დაკარეს, უკანვე გაბრუნდნენ და ისევ სიმპილი ირჩიეს, ეიდრე პირის წაბილწვა ამ იუდას ლეშის ჭამითა.

სჩანს, ხალხას აზრით, მაშინდელ დროში ღალატი საშინლად ეჭიზებოდათ და უსაბლეროდ სძულდათ არა მარტო ქართველ ადამიანებსა, არამედ ქართულ მგლებსაც-კი.

ახლა?.....

იაკობ გოგებაშვილი.



საჩუქრის მისაღები კითხვა.

ვინ იყო საქართველოს უდიდებულესი მეფე — ქა-
ლი? რითი იყო ის დიდებული?

ვინც „ჯეჯილის“ ხელის მომწერ ბაეშთავანი ამ კითხვაზე მე-
ფე — ქალის ცხოვრების საუკეთესო მოკლე აღწერას წარმოადგენს,
იმას გაეგზავნება ამავე შეფის სურათი ფერად წამლებით დაწატული
(ეთხოვთ დედ-მამას არ დაეხმარონ). პასუხის გამოგზავნასთან ბაეშის
წლოვანება უნდა იყოს აღნიშნული. საუკეთესო პასუხი დაიბეჭდება
„ჯეჯილში“.

• გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

ორი რამ ერთათ ჭიდაობს,
თავსა ახლიან მწარეთა,

ହିତଲେବି ଏହିଲୁଗିବି,
ପ୍ରାଣ ପ୍ରାଣିଙ୍କରେ ମନ୍ଦିରେ,
ହେଲିହାତିଲା ଏହିକେଳ ମିମିତି
ତାମାଶିବିତ ମନ୍ଦିରିମାନ୍ଦିରା.

(ହିତଲେବିଙ୍କିଳି ପାତ୍ର ଶ୍ରୀକଣ୍ଠଶ୍ଵରିଶାଖା).

ତାମାରୀ ମହିନ୍ଦ୍ର ମହିନ୍ଦ୍ର
ହିତଲେବି ମନ୍ଦିର କେତେଲା,
ପାତ୍ର, ମ୍ଯାପିଲ ତାମାରିଶି ଏହି ପ୍ରକାଶି,
ନୋହିବ ଏହି ମହିନ୍ଦ୍ର ଫ୍ରେହିତେଲା.
ତାମାରୀ ଜୀବି ମନୁଷୀ,
ମନ୍ଦିର ଲା ଧାରୁଜବୁଲିଲା;
ନାମତ୍ତେ ତୁମାକିଲିଯେ ମେତ୍ରୀ ଲକ୍ଷମି,
ତେବେତା ଶ୍ରୀକଣ୍ଠଶ୍ଵରିଶାଖା.

ଅ କ ର ଟ ଟ ର ବ ର.

(ହିତଲେବିଙ୍କିଳି ଶ. ତାମାରିତିକିଳିଶାଖା).

ଶିଶୁପାତ୍ର ଶିଶୁପାତ୍ର ସାମିଶିବି,
ଏହି ଶିଶୁପାତ୍ର—ନାମିଶିବି ସାମିଶିବି;
ଶିଶୁପାତ୍ର ଏହି ଶିଶୁପାତ୍ର ମନୀଶିବି,
ଶିଶୁପାତ୍ର—ଶିଶୁପାତ୍ର ମନୀଶିବି;
ଶିଶୁପାତ୍ର ଶିଶୁପାତ୍ର ମନୀଶିବି,
ଶିଶୁପାତ୍ର ଶିଶୁପାତ୍ର ମନୀଶିବି,



არ დაიგიწყებს ადვილათ,
ბევრსაც-კი თავის ნებითა,
ადგამს ძეგლს სიცოცხლეშივე,
შეამყობს გვირგვინებითა.
ინერგავს გულში მის ხსოვნას,
ძეირათ აფასებს მის ღვაწლსა,
ერთგულს მოლვაწეს, ძეირფას შეილს
აღმერთებს და სცემს თაყვანსა.

۱۶۸۵۰

სიმღიდრის ფასს მაშინ შეიტყობენ ხოლმე, როცა შეიძენენ
და მეგობრის ფასს კი მაშინ, როცა დაჰკარგავენ.

ციფრების ამოცანა.

(წარმოდგენილი სათავე-დ.ჩ. სკოლის მუწ. დ. ქარებაშვილისაც).

ქვემო მოყვანილი ციფრების მაგიერ დასწერეთ ქართული ქორონიკონი და გამოვა ერთი ჩეენი მშერლის სახელი და გვარი და ერთისაც გვარი. 50, 10, 20, 70, 30, 70, 70, 7, 2, 1, 100, 1, 9, 1, 900, 6, 10, 30, 10, 1, 800, 1, 7, 2, 5, 3, 10,

ა / მ ი ც ა ნ ა.

მართველი
გენერალი

ობობას ოც არშინიან სკეტის თავზე ჰქონდა ბინა. ერთ დღეს
ძირს ტყაპანი მოხვდა, ისე-კი, რომ თავის ქსელზე ჩამოყენდა. შე-
უდგა იმის ფიქრს, რომ როგორ ასულიყო ისევ ზევით და გადა-
სწყვიტა ნელ-ნელა აცოცებულიყო თავისივე ქსელის საშუალებით:
ყოველ დღე—დილიდან სალამომდის ალიოდა ხუთ არშინს, მაგრამ
ლამე ოთხ არშინზე ისევ უკან ვარდებოდა ხოლმე.

რამდენს დღეს შემზევ აეიდოდა ობობა სკეტის თავზე?


არითმეტიკული ამოცანა.

შალვა, გიგლა და ვანო ბალშა თამაშობდენ. მამიდა თეკლემ
მოთამაშე ბავშებს უთხრა, რომ ოთახში მათთვის მაგიდაზე აწყვია
ვაშლები და თვითოვეულს შეუძლია მესამედი წილი მიიღოს. რად-
განაც ბავშები ძრიელ გართული იყვენ თამაშობაში, ამიტომ ისი-
ნი ერთათ ეერ წავიდენ ვაშლების მისაღებათ. პირველათ მორჩა
თამაშობას შალვა და მაგიდიდან აიღო თავისი წილი ვაშლებისა.
შემზევ ბალდან დაბრუნდა ვიგლა, რომელმაც დარჩენილ ვაშლე-
ბის მესამედი წილი აიღო. ბოლოს დაბრუნდა ვანო და მანაც მე-
სამედი ნაწილი აიღო, ხოლო ამას შემზევ მაგიდაზე კიდევ რვა ვაშ-
ლი დარჩა. რამდენი ვაშლი დაუწეუ მამიდა თეკლემ მოთამაშე ბავ-
შებს მაგიდაზე და როგორ უნდა გაინაწილონ ბავშებმა დარჩენილი
რვა ვაშლი?

କେବୁସି



, ୩ ,



୨

ହାତି ଗି-
କିରାୟେ କା-
ଲାଦି?



,

୩ ,



୧

ଶାତକ୍ଷେ-
ତୁଳି ମା-
ତ୍ରନା.



,



୧୦ ,

ସାରି



,



୧୦ ,

ଶାକିଥିଲି
ତ୍ୟ

୨

ଲମ୍ବରତ୍ସ
ରା କେବୋନ?

ନୋକ୍ରିଲ୍
ଉତ୍ତରଳିଲ୍

୩

୧୦ ,

ଦେଖିଲେବୁରି ଉପ୍ପ-
ଲ୍ଲା ଭେବେଲାପମ୍ବଲି ,



ბ ჩეუბი , ბ ბ



? ..



რისთვის ვსწავლობთ? რა უფრო გვინდა რომ ვისწავლოთ
და რანაირათ ვაპირებ სწავლის გამოყენებას *).

მისთვის ესწავლობთ, რომ კარგი ადამიანები გამოვიდეთ და
ჩეენ სამშობლოს რამეში გამოვადგეთ. სულ ყველაფერზე უკეთ მინ-
და ვიცოდე დედა ენა. სწავლა მინდა რომ გამოვიყენო ჩემი ქვეყ-
ნის სამსახურისათვის.

თათარეან (11 წლ.) და ცაჲა (8 წლ.) დადებეჭდიანები.

№ III გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ლეთის მშობელი, 2) ტიკი, 3) „დედა ენა“.

*) პასუხი „ჯეჯილის“ მესამე ნომერში მოთავსებულ საჩუქ-
რის მისალებ კითხვებისა.

აკროსტიხი: ჭიშკარია.

არითმეტიყული ამოცანა: კაცია ღმერთს მესამე ეკლესია-ში შესთხოვა, რაც ჯიბეში მაქვს ერთი იმოდენი ფული მამეცი და ერთ აბაზი შემაგწირავო, და რომ შესწირა ჯიბეში ალარა დარჩა რა, უნდა მიეცედეთ რომ მესამე საყდარში შესელის ღროს კაცს ჯიბეში ჰქონია აბაზის ნახევარი—ესე იგი ორი შაური. ახლა გავიგოთ რამდენი ჰქონია მეორე საყდარში შესელის ღროს. აბაზი თუ ხატს შესწირა და დარჩა კიდევ ორი შაური მაშ ჩანს, რომ ექვსი შაური გახდენია მეორე საყდარში შესელის ღროს, შესელამდის-კი ჰქონია სამი შაური. ახლა პარველშიაც ისევე უნდა მიეუმატოთ სამ შაურს კიდევ ერთი აბაზი, რომელიც პირველ საყდარში შესწირა ხატებს, შედგება შეიღი შაური, როცა რომ კაცია პირველ საყდარში ინატრა ღმერთო ერთი იმოდენი მამეცი რაც ჯიბეში მაქვსო, მაშინ იმას სდებია ჯიბეში სამ შაურ ნახევარი.

შარადა: იმერეთა, იმე, ერეთი, ერთი.

რებუსი: ცხვირი რომ შუაში არ იყვეს თვალები ერთმანეთს ამოსთხრიდენო.

გამოცანები, აკროსტიხი, არითმეტიყული ამოცანა, შარადა და რებუსი ახსნებს: თბილისის სათავაღ-აზნაურო სკოლის მოწაფე ელა-დიმერ აღამიძემ, საჩხერის ორ კლასიანი სკოლის მოწაფეებმა ვალე-რიან აბდუშელაშვილმა და დიანოზ აბრამიშვილმა, სეირის ორ კლასიანი სკოლის მოწაფემ ერთაოზ ცხადაძემ და სამთოის სამრევლო სკოლის მოსწავლემ კლიმენტი ნაკაძემ. მარტო რებუსი ახსნა: ბა-თუმის ქართული სკოლის მოწაფემ მიხეილ ინაძემ.

Съ разъшенія главнаго управлениі по дѣламъ печати,

ПОНИЖЕНА ПОДПИСНАЯ ПЛАТА

— НА —

ежедневную литер. и полит. газету

„НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—1 р. 50 к., 2 мѣс.—1 р.; отдельный № въ Тифлисѣ—3 коп., въ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня 3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Изд К. Тумановъ.

Ред. Г. Тумановъ.



მიმღება წელის მონარჩ 1902 წლის 20 მარტი

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატების გაზეთი

„ბ გ ძ ლ ი“

(წელიწადი მეტე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახმდე.

წლის განმავლობაში „კვალი“ დაიბეჭდება მეცნიერებების საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩინენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებელი ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თვილისში 7 მან., თვილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თვილისში 3 მ. 50 კ.. თვილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითა ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცელა თვილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

წელის მოწერილებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ:

წელის მოწერა მიიღება: თვილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქარი, სათავად-აზნაურია ქარეანსლა), რეინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შეილთან და თვეთ „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქარი, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბერინე შეილის წი. გნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავარ-თქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უუასო სამკითხველოში: ოზურგეთში და ახალ სერაფიში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭანაძესთან და ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშეილთან. დაბახონში—სახალხო სამკითხველოში.

ფოსტის ადრესი: თიფლის. რედაქცია „კვალი“.



საქართველოს ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თევეში ერთხელ იმავე პროვინციაში, ჩოვო-
რათაც აქამდის.

ეურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თუილისის საეპარქის და
კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სა-
მკითხველოებში საკითხავათ.

ეურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფი-
ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კოთხეის გამ. საზოგა-
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. №
Груз. Двор., № 101), და თევით „ჯეჯი-
ლი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5,
воздѣ Кадетского корпуса).

ფოსტის ადგენი: Вс Тифлис, въ редакцію грузинскаго дѣтс-
каго журнала „Джеджили“.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା